რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 16 სექტემბერი 1917 წ.

ერთობა

ფასი 12 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 2 მან. 60 კაპ., ორი თვით 5 მ. 20 კ., სამი თვით 7 მან. 80 კ., ოთხი თვით 10 მ. 40 კ. ცალკე ნომერი ყველგან 12 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—30 კაპ., მეოთხე გვერდზე—15 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 6 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ (Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 147 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა. № 147

დამწუხრებულნი დედა ქრისტინე და ძმა ნოე კანდელაკები, მეუღლე ვასილ კანდელაკი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებულის

გულჩინა კანდელაკისა

ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი, მოხდება 17 ამ თვეს კვირას, ქ. ლანჩხუთში.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ერმალო ელისბარის ძე და შვილი ევტიხი იგივე კიკილო, და რძალი ოლია დიმიტრის ასული ბოლქვაძეები ამით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ დანიშნული არის გარდაცვალებიდან წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარის

გულჩინა ბესარიონის ასულის ბოლქვაძის

სულის მოსახსენებლად ქალაქ ფოთში ნახუცრის ეკლესიაში დღეს შაბათს 16 სექტემბერს.

შაბათს 16 სექტემბერს გარდაცვალებიდან მეორმოცე დღეს საყვარლის ძმის პეტროგრადის უნივერსიტეტის სტუდენტის

ნიკოლოზ ლუკას ძე მოსულოვისა,

ნუკრიანის წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის საფლავზე, რასაც აუწყებენ ნათესავებს ნაცნობებს და მეგობართ გულდათუთქული ძმები და დები განსვენებულისა. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (1—1).

დღეს, 16 ენკენისთვეს, საბურთალოს წმინდა გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ერთი წლის წირვა და პანაშვიდი

სიდონია ვასილის ასულის არჩვაძისა,

რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობებს მეუღლე გიორგი ივანეს ძე არჩვაძე შვილებითურთ პანაშვიდი წირვის შემდეგ.

სეზონის დასაწყისი.

ქ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახ. სახლი. სახ. სახლ. არს. ქართ. წარმ. მართ. წრე.

კვირას 17 ენკენისთვეს 1917 წელს.

I

მაღაროს უფროსი მუშა

პიესა 1 მოქმ. გერბილიონისა თარგ. ნ. გოცირიძისა.

II

რაც გინახავს ველარ ნახავ

კომ. 3 მოქმ. ა. ცაგარლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. შ. ბეჟანიშვილი, ლ. გოლდერძი, ვ. მარგველაშვილი, ელ. იანქოშვილი, ს. რომანიშვილი დეკანოზისა. ბ.ბ. ვ. ანაშვილი, ნ. გოცირიძე, გ. გელიკაურაშვილი, ამ. იმერელი, ბ. მამაჯანოვი, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ვ. ნინიძე, ა. თავდგირიძე, ს. რომანიშვილი, ნ. პეიკრიშვილი, კ. ხახანაშვილი და სხ.

ადგილების ფასი: 1 მ. 9 კ.-დან 20 კაპიკამდე. ◆ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

შემდეგი წარმოდგენა 22 ენკენისთვეს.

რეჟისორი: **კ. შათირიშვილი.** რეჟ. თანაშემწე: **ალ. ბადრიძე.**

პური

ის პირნი, რომელნიც ეკუთვნიან პროფესიათა იმ კატეგორიას, რომლისთვისაც სასურსათო კომიტეტისა და მუშ. და ჯ.-კ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის დადგენილებით გადაწყვეტილია პურის დამატებითი რაციონი, დამატებითი ბარათებს მიიღებენ ქალაქის სასურსათო კომიტეტისაგან. ამისათვის, ფაბრიკა-ქარხნებისა და სახელოსნოების ადმინისტრაცია, პროფესიონალური კავშირები და სხვა ორგანიზაციები, რომელთაც თავიანთ წევრთა და თანამშრომელთა რიცხვში ჰყავთ ისეთი პირები, რომლებიც ფიზიკურად შრომობენ, მოვალენი არიან წარმოადგინონ ქალაქის სასურსათო კომიტეტის პურის ბიუროში სიები მუშებისა, რომლებიც დაწესებულებებში და პროფ. კავშირებში ირიცხებიან, რომელშიაც ნაჩვენები უნდა იქნეს, ხელობა და უბანი, რომელშიაც მუშები სცხოვრობენ, აგრეთვე უნდა წარმოდგენილ იქნეს შაქრის ბარათები. მუშების სია უნდა დამოწმებული იქნეს პასუხისმგებელ პირის მიერ და დაწესებულების ბეჭდით.

ის პირნი, რომლებიც ფიზიკურად შრომობენ და არ შედიან პროფ. კავშირში და არ აქვთ მუდმივი სამუშაო ადგილი, დამატებითი ბარათებს მიიღებენ იმ **საუბნო სასურსათო კომიტეტებში,** რომელ უბანშიაც სცხოვრობენ.

(3—3) **ქალაქის სასურსათო კომიტეტი.**

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან.

თფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს, რომ თანახმად 7 სექტემბრის ქალაქის საბჭოს დადგენილებისა 20 სექტემბერს ქ. თფილისში მოწვეულია კავკასიის იმ ქალაქების წარმომადგენლების სიეზდი, რომლებშიაც უკვე მოხდა არჩევნები ოთხ ფორმულიან საარჩევნო სისტემის მიხედვით. წარმომადგენელთა რიცხვი თფილისისა და ბაქოსათვის გადაწყვეტილია სამ-სამი, დანარჩენ საგუბერნიო ქალაქებისათვის—2 და სამაზრო ქალაქებისათვის თითო-თითო. სიეზდს განსახილველი აქვს: ფინანსების სისტემა სხვადასხვა ტიპის ქალაქებში, სასურსათო საკითხები და ქალაქებისათვის სათბობ მასალის გამონახვა, ქალაქების სამოქალაქო მმართველობის საკითხები და წვრილი საქალაქო ერთეული, მუშათა საკითხი და ურთი-ერთ შორის დამოკიდებულება ქალაქების გამგეობებისა და მუშა მოსამსახურეებისა, ქალ. გამგეობების უახლოესი მიზნები ბინის და საამშენებლო პოლიტიკის, საგანმანათლებლო მოქმედების, ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის და ქალაქების დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობის მიღების საკითხებში. სრ. რუს. ქალაქთა კავშირის თანამედროვე მოღვაწეობა და მისი მიზნები მომავალში.

სრულიად რუსეთის ქალაქთა კავშირის ორგანიზაცია.
კავშირის შესახებ წესდება და მისი ფინანსები.
ქალაქთა კავშირის ორგანიზაციების არჩევა. 1—1

ამხანაგებო და მოქალაქენო!

17 სექტემბერს დანიშნულია ქ. სამტრედიის თვითმართველობის არჩევნები. გამოცხადდით საარჩევნო ყუთებთან და მოიხადეთ თქვენი მოქალაქობრივი ვალი. ხმა მიეცით სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სიას

№ 1

1) **კოპალეიშვილი ილია ივანეს ძე,** მუშა, სამტრედიის რაიონულ აღმასრულებელ და სოც. დემოკრ. კომიტეტის თავმჯდომარე.

2) **პაპავა ვლადიმერ თადეოზის ძე,** ფილოლოგი, ქ. სამტრედიის აღმასრულებელ და სარევოლიუციო კომიტეტების თავმჯდომარე, სამტრედიის რაიონულ სარევოლიუციო სასამართლოს თავმჯდომარე და სამტრედიის რაიონის კომისარი.

3) **ახობაძე არხიპო პეტრეს ძე,** მასწავლებელი, მდივანი რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტისა, პარტიული მოღვაწე.

4) **კიკაბიძე ივანე გიორგის ძე,** მასწავლებელი, მდივანი რაიონულ აღმასრულებელ კომიტეტისა, პარტიული მოღვაწე.

5) **დუნდუა გიორგი ივანეს ძე,** აგრონომი, მასწავლებელი ქუთაისის სასოფლო სამეურნეო სკოლის, წევრი და მდივანი ქ. სამტრედიის აღმასრულებელ კომიტეტის და ჟურნალისტ-კორესპონდენტი.

6) **ურუშაძე გრიგოლ ქრისტეფორეს ძე,** კასირი სადგურ სამტრედიის, ადგილობრივ რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე, წევრი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და ქ. სამტრედიის აღმასრულებელ კომიტეტისა.

7) **ხიძაძე რაჟდენ გიორგის ძე,** მასწავლებელი, წევრი კოოპერატივის გამგეობისა და პარტიული მოღვაწე.

8) **მიქელაძე დავით მელქისედეკის ძე,** პარტიული მოღვაწე.

9) **შენგელია ტიმოთე ბეჟანის ძე,** მემანქანე, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს და ქ. სამტრედიის რ. ს.-დ. მ. პ. კოლექტივის თავმჯდომარე და წევრი ადგილობრივ რკინის გზის, რაიონულ და ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტების.

10) **ნინუა სერგო (სიმონ) გაბრიელის ძე,** ტეხნიკი (ჯარის კაცი) მდივანი მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, წევრი სამაზრო, ადგილობრივ რკინის გზის და რაიონის აღმასრულებელ კომიტეტებისა.

11) **ქიქოლიძე რაჟდენ გრიგოლის ძე,** მემანქანე, კოოპერატიული გამგეობის და მუშ. და ჯარისკაცთა საბჭოს წევრი.

12) **შანიძე გიორგი ალექსის ძე,** ხელოსანი, პარტიული მოღვაწე.

13) **ფრანგიშვილი ნინა ვასილის ასული,** მასწავლებელი, პარტიული მოღვაწე.

14) **პაპავა ვერა თადეოზის ასული,** მასწავლებელი, პარტიული მოღვაწე.

15) **ჯაში ილია ეგნატის ძე,** მუშა.

16) **[illegible] სიმონ იოსების ძე,** ვაჭარი პარტიული მოღვაწე.

17) **ნინიძე ნიკოლოზ დავითის ძე,** ტელეგრაფისტი, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს, ადგილობრივ რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის და კოოპერატივის გამგეობის წევრი.

18) **ბერძენიშვილი მოსე გლახუნას ძე,** ნოქარი, სამტრედიის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი და საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარის ამხანაგი.

19) **კალაძე თევდორე ზაქარიას ძე,** ზეინკალი, ადგილობრივ კოოპერატიული გამგეობის თავმჯდომარე და ადგილობრივ რკინის გზის აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.

20) **აბულაძე რაჟდენ ქრისტეფორეს ძე,** მასწავლებელი, პარტიული მოღვაწე.

სამტრედიის კომიტეტი რ. ს.-დ. მ. პარტიისა.

ქ. სამტრედიაში გაიხსნა კლასიკური გიმნაზია

ორივე სქესისათვის მე-5—6 კლასის შემადგენლობით.

მე 6 კლასი გაიხსნება, თუ საკმარისი კომპლექტი (20 მოწ.) შედგება.

გიმნაზიაში შესასვლელი თხოვნები მიიღება ყოველ დღე სამტრედიის უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში.

მე-5 კლასში მიიღებიან მოსწავლენი უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში კურსდამთავრებულნი უეგზამენოთ.

მე-6 კლასში მიიღებიან მოსწავლენი ყველა გიმნაზ., როგორც სახაზინო, ისე საკერძოებიდან.

ამასთანავე საჭიროა გიმნაზიის გამგე და მასწავლებლები:
მათემატიკოსი, ბუნების მეტყველი, ფილოლოგი და უცხო ენების (ფრანგ. და ნემეცური).

თხოვნები მიიღება 25 ენკენისთვემდის.

საჭიროა შემდეგი დოკუმენტები: 1) განათლების ცენზი, 2) curriculum vitae, 3) სარეკომენდაციო ქაღალდი პროფესიონალურ კავშირიდან და პედაგოგიურ საბჭოდან (თუ მსახურებდა), რომელნიც წერილობით მოახსენებენ, როგორი იყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა და მისი ზნეობრივი მხარე. აღმასრულებელი კომიტეტიდან კი კანდიდატის შესაფერისობა მოწმობისათვის. ყველა მოწმობები უნდა იყოს დამოწმებული სათანადო დაწესებულებათა დადგენილებით. მეცადინეობა დაიწყება 2 ოქტომბრიდან.

მისამართი: Городъ Самтреди, Предсѣдателю Школьнаго Комитета Вл. Ѳ. Папава.

აგრეთვე საჭიროა უმ. პირვ. დაწყ. სასწავლებელში მასწავლებლები. 3—1

„მოსავალი“ (урожай)

იხსნება ახალი მომხ. საზ., რომლის მიზანია გახსნას თფილისის ყველა რაიონში პურის საცხობები

კვირას, 17 სექტემბერს, დილის 9 ნახ. საათზე,

ახალ საკრებულოში მიხაილოვის ქუჩა № 131.

შესდგება პირველი დამფუძნებელი კრება

დღის წესრიგი: 1) წესდების განხილვა, 2) ფონდების დახსნა, სმეტის განხილვა 3) გამგეობის არჩევა და 4) სარევიზიო კომისიის არჩევა.

წევრათ ჩაწერა შეიძლება შემდეგ ადგილებში: დ. კახელაძესთან, ანდრიას ქუჩა № 9. ნ. ციკორიძესთან—ტრამვაის პარკი. რკინის გზის სახელოსნოში, ვ. ჯომარჯიძესთან ვაგონის ცეხში, ალ. კვირიკაშვილთან—სპირის ცეხი, ან. ქადაგიშვილთან, პ. ხურცილავასთან ლიტეინის ცეხი, გ. ჩიქოვანთან ტოკარნი ცეხი, გრ. ცინცაბაძესთან საჭრელის სადგურში. გ. ზუკაკიშვილთან „ლოთქინებში“ ვერის განყოფილებაში, ავლაბარში ამხ. „ლოთქინებში“ ვ. კანტიძესთან ამიერ კავკასიის მომხ. საზ. კავშირში. ორთაჭალაში მ. შელიანოვთან ნაძალადევში XI უბნის სასურსათო კომიტეტში და კრების ბინაზე.

დამფუძნებლები **დ. კახელაძე და ლ. მარხაგოვი.**

დაიკარგა

ალექსანდროპოლის ვაგზალში: 600 მანეთი ფული, მოწმობა, პასპორტი, სპრავკა განთავისუფლებისა, ერთი დახურული ბარათი შამილ-ეფენდის სახელზე და კვიტანცია ბანკის ს.-დ. ორგანიზაციის საწევრო გადასახადის შესახებ. მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს, ჯილდოთ დაიტოვოს ასი მანეთი. მასთან მქონდა კიდევ ამხანაგებში შეგროვილი 30 მ. ჩვენი გაზეთის „ერთობის“ სასარგებლოთ. მპოვნელს ვთხოვ შემდეგ ადრესზე გამოგვიგზავნოს: Чiатуры, Петру Петрiашвили для Семана Самхарадзе.

დამეკარგა

უვადო პასპორტი თეთრი ბილეთით და მასთან „პროპუსკი“ ბათუმისკენ მარიამ გიორგის ასული ავალიანისა, ამიტომ ვინც იპოვის გამოაცხადოს გაზეთში ან მომმართოს მე ბათუმში გიორგი ავალიანის აფთიაქში. რომელიც ჩემგან მიიღებს საჩუქარს.

დიმიტრი ლუკას ძე ავალიანი.

დაიკარგა

თფილისის სადგურზე 6 თვიანი პასპორტი მიცემული 2 სექტემბერს ქუთაისის მილიციის უფროსისაგან **ილარიონ როსტომის ძე ბაბუხიძის** სახელზე. თუ ვინმე ნახოს ვთხოვ მაცნობოს ქ. ქუთაისში მიხეილის ქ. **გახო ჯაფარიძესთან.**

ნაციონალისტების ბანაკში

ადგილობრივ პრესას და საზოგადოებრივ წრეებს ამ ჟამად მთავარ სალაპარაკო საგნათ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის განახლების საკითხი გაუხდა.

არსებული კომიტეტის უვარგისობას არავინ არ უარყოფს. მისი შეცვლა ყველას საჭიროთ მიაჩნია. მაგრამ როგორი უნდა შეიცვალოს ის? ამის გარშემო გაცხარებული საზოგადოებრივი ბრძოლაა. ამ ბრძოლის დამახასიათებელი ორი მომენტია: იბრძვიან სწორეთ ისინი, ვისაც ახალ შემადგენლობაში მოხვედრის იმედი არა აქვთ,—ესეთია ნაციონალისტური და ლიბერალური წრეები, რომელთა მუშაობა დღევანდელ საპასუხისმგებლო მომენტში მხოლოდ შემაფერხებელია რევოლიუციონური საქმის და ამით ამიერ-კავკასიაში თავისუფალი წესწყობილების განმტკიცების.

თვით კომიტეტი თავის შემადგენლობით უმთავრესად ლიბერალურ წრეებს ეკუთვნოდა, უმთავრესათ იმ წრეებს, რომელთაც რუსეთში კორნილოვშჩინასთან სულიერი კავშირი აღმოაჩნდათ და რომელთაც დემოკრატიული სახე რუსეთის რევოლიუციისა მხოლოდ უსიამოვნებას გვრის და წინააღმდეგობის გრძნობასაც უღვიძებს.

ამასთანავე, ამ შემადგენლობაში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ადგილი ქონდა ეროვნულ პრინციპსაც. იქ ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ უმთავრეს ეროვნებებს ყავდათ თავიანთი წარმომადგენელი, მაგრამ არც ლიბერალობამ, არც ეროვნულმა პრინციპმა საქმიანობა არ შემატა ამ დაწესებულებას. იგი ყოველ წინმსვლელობის მხოლოდ „ტორმოზათ“ და შემაფერხებლათ გადაიქცა.

ამიტომ რევოლიუციონურმა დემოკრატიამ ძალაუნებურათ მის წინააღმდეგ ხმა აიმაღლა და მისი შეცვლა დღიურ წესრიგში დასვა.

ამით დემოკრატიამ თავს იდვა რევოლიუციის გამაგრება და ხალხის ინტერესების დაცვა.

სოც. დემ. და სოც. რევ., მართალია, სოციალისტური პარტიებია, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამ შემთხვევაში მათი მოქმედების ასპარეზი დემოკრატიული ასპარეზია, მათი განსახორციელებელი საგანი—დემოკრატიული წყობილების განმტკიცება და მეტი არაფერი. არც ერთი მათგანი არ ფიქრობს დღესვე სოციალისტური ექსპერიმენტების წარმოებას.

ცხადია, ყოველი რევოლიუციონერი ამ მოვლენას უნდა სიხარულით შეხვედროდა და შეხვდენ კიდეც.

უკმაყოფილონი დარჩნენ მხოლოდ ლიბერალური წრეები და ნაციონალისტები. ამაში მათ თავიანთი ბატონობის დაცემა დაინახეს.

ქართველი ნაშოულიშვილები „სახალხო საქმიდან“ იმ თავითვე აუხირდნენ დემოკრატიის ამ განზრახვას. ბოლოს იქამდეც კი მივიდნენ, რომ ამხ. ჯაჯანაშვილის პირით „პოლიტიკური სიმხდალეთ“ მონათლეს სოც.-დემ. და სოც. რევოლ.-ასეთი გაბედული რევოლიუციონური ნაბიჯი.

მართალია, ამის მთქმელს თითონაც არ ესმის, რას სწერს, მაგრამ პარტიის ოფიციალურ ორგანოს კი უნდა ესმოდეს. მიზეზი ასეთ სასტიკ განაჩენისა ისაა, რომ თურმე ამ პარტიებს ავტონომია და ზოგს ფედერაციაც აქვთ აღიარებული და აქ კავკასიაში კი იმის მაგიერ, რომ იგი განახორციელონ, თავის პარტიის (ს.-დემოკრატიის) დიქტატურა შემოაქვთ.

დაშნაკელები, სამაგიეროთ, თითქოს არ უფრთხიან ამ დირექტორიას, მაგრამ თავისთვის ადგილს ითხოვენ ახალ კომიტეტში, ვინაიდან გუშინდელ დაშნაკელებს თუ დაუჯერებთ, ისეთი ორგანიზაცია, რომელშიაც დაშნაკელები არ მონაწილეობენ, რევოლიუციონურ ორგანიზაციათ არ ჩაითვლება.

მუსულმანთა ნაციონალისტური წრეები ირწმუნებიან, რომ ისინიც ნამდვილ სოციალისტურ და დემოკრატიულ პროგრამის ნიადაგზე დგანან და ამიტომ მათაც უნდა ადგილი მიეცეთ, როგორც მუსულმანთა წარმომადგენელთ.

ქართველი ნაციონალისტები სავსებით უარყოფენ საერთო ცენტრის საჭიროებას, და დაუყონებლივ ქართულ ეროვნულ ცენტრის შექმნას თხოულობენ. სხვა ერმა თუნდა ვერ მოაწყოს, ამას არ ნაღვლობენ.

სომხის და მუსულმანთა ნაციონალისტები კი ახალ მთავრობაშიაც ძველებურათ [illegible] მიისწრაფიან.

ყველა ეს აურ-ზაური კიდევ უფრო გვარწმუნებს იმაში, რომ რევოლიუციონური კომიტეტის მიერ მიღებული ნაბიჯი სწორია, რომ იგი ნაციონალისტურ და შოვინისტურ ტენდენციებს შეუდგარ ლახვარს სცემს გულში და ამით დემოკრატიის საქმეს ემსახურება.

საერთაშორისო ომი.

დასავლეთის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლაა. მტერს პატარ-პატარა იერიშები მოაქვს, მაგრამ კონტრ-იერიშებით უკუაგდებენ.

კავკასიის ფრონტზე სიწყნარეა.

საფრანგეთის ფრონტზე საარტილერიო ბრძოლა უმწვერვალეს წერტილამდე აღწევს. ფრანგები წინ მიიწევენ.

ლონდონს თავს დაესხა მტრის აეროპლანები და ყუმბარები ჩამოაგდეს. მოკლულია 6 და დაჭრილი 26 კაცი.

ვინ არ იცის, რომ კავკასიის ერებს უნდა მიეცეს თავის საკუთარი მართველობის საშვალება, მაგრამ განა ამაზეა დღეს ლაპარაკი? სრულიადაც არა. დღეს საკითხი დგას რევოლუციის მონაპოვარ თავისუფლების შენახვისა და განმტკიცებაზე, რაიც ერთად ერთი გზაა ეროვნულ თავისუფლებისათვისაც.

ამ მხრით კი, ყოველმა დემოკრატმა იცის, რომ საქართველოს მართვა-გამგეობის მოწყობა და დანარჩენი ერების აწეწილი დარჩენა — ბოლოს ყველა ერის საქმეს არევ-დარევს და თავისუფლებას საფრთხეში ჩააგდებს, ნაციონალიზმი სწორედ იმითაა მავნებელი, რომ იგი ცხვირს იქით ვერასდროს ამჩნევს, როგორც ეს მოსდის არ. ჯაჯანაშვილს.

მაგრამ დემოკრატიამ ისიც იცის, რომ თუ ნაციონალისტურ წრეებს ერთი ერისას მიეცა ადგილი, დანარჩენ ერებსაც უნდა მიეცეს. ესე იგი, უნდა ისევ ძველ კომიტეტის პრინციპებს დავუბრუნდეთ, და თუ ეს ასე იქნა, რა აზრი აქვს პიროვნებების შეცვლას,—იგინეს მაგიერ პეტრეს საქმეში ჩაყენებას.

სწორედ, ამიტომ ჩვენ იმ აზრის ვადგევართ, რომ საგანგებო კომიტეტი უნდა შედგეს დემოკრატიულ ელემენტებისაგან, რომელნიც ნაციონალისტურ თვალსაზრისს უარყოფენ. ცალკე ერების მაგიერ ყველა ერის დემოკრატიას აერთებენ. მხოლოდ ესენი შესძლებენ სხვა რეფორმებთან ერთად იმ ეროვნულ მოთხოვნილებათა განხორციელებასაც, რომელზედაც ასე გატაცებით ზრუნავენ თავთავისთვის ყველა ჯურის ნაციონალისტები.

დღეს ყველასათვის თვალსაჩინო უნდა იყოს კავკასიის ერთა საქმე: ან ყველასათვის გადაწყდება, ან არც ერთისთვის.

ნაციონალისტებს უნდათ გადაწყვიტონ მხოლოდ თავ-თავისთვის, ამით იგინი მხოლოდ მდგომარეობას ართულებენ და აფერხებენ. დემოკრატია და მისი წარმომადგენელი პარტიები ერთნაირად დაინტერესებული არიან ყველა ერის დემოკრატიის უზრუნველყოფაში და ამიტომ სხვა დემოკრატიულ მოთხოვნილებებთან ერთად მათ ეროვნულ და კულტურულ მოთხოვნილებებსაც სასწრაფოთ გადასჭრიან ხალხის ფართე მასსის სასარგებლოდ. აი, ამიტომ საჭიროა დემოკრატიის მთავრობა და არა ნაციონალისტების.

პრესა.

„სახ. საქმე“ ეხება სიკვდილით დასჯის შესახებ კამათს ქალაქის საბჭოში და ასეთ შეუსაბამო აზრს გამოსთქვამს:

„დღეს კორნილოვი კონტრ-რევოლუციონერათ არის გამოცხადებული, მაგრამ მისი ტაქტიკა მთავრობისაგან მიღებულია და ჩვენი ქალაქის საბჭოს უმრავლესობა, სოც.-დემ. მენშევიკების მეთაურობით ამ საზიზღარ რიტუალს, ბრძნულ პოლიტიკათ აცხადებს! აღსანიშნავია, რომ ამ საკითხმა ისე ჩაიარა და ისე დაამტკიცა ეს სრულიად უნიადაგო ზომა „მენშევიკების“ უმრავლესობამ, თითქოს უბრალო მორიგი რამ საკითხი ყოფილიყოს“.

ჩვენ არ ვიცით, რას უწოდებს ავტორი უბრალოთ ჩატარებას. იმას, რომ ორი დღე და ღამე არ ვკამათეთ. თუ იმას, რომ მათი რეზოლუცია არ მივიღეთ. მგონია უკანასკნელს, მაგრამ ეს ხომ წმინდა ბავშვური მსჯელობაა. ისე როგორც ბავშვურია და უარესიც ის აზრი, თითქო მენშევიკებმა მტრობ აღიარეს სიკვდილით დასჯის შესაძლებლობა, რომ ის „მთავრობისაგან მიღებულია“.

მართლაც, ვინც ანგარიშს, ან ჩვენს რეზოლუციას წაიკითხავს, მისთვის ცხადი იქნება, რომ ჩვენ წინააღმდეგი ვართ სიკვდილით დასჯის სისხლის სამართლის წესით, როგორც ნორმალური წესის, წინააღმდეგი ვართ მისი შემოღების ფრონტზე დისციპლინის აღსადგენათ, როგორც უაზრო და უმიზნო საშუალების და კონტრ-რევოლუციონურ ზომის. მაგრამ მომხრე ვართ სიკვდილით დასჯის, როგორც რევოლუციონური ზომის, რევოლუციონური ბრძოლის გამწვავებულ ხანაში, რადგან იგი ამ შემთხვევაში კონტრ-რევოლუციის დაშლის და დეზორგანიზაციის ერთი საშუალებათაგანია. ფედერალისტებს რომ ოდნავ ახსოვდეთ წარსული რევოლუციონური პარტიების და განსაკუთრებით, სოც.-რევოლ., რომელთაც ისინი პროგრამითაც და ტაქტიკითაც ენათესავებოდნენ, სიტყვიერათ მაინც, იმ შემთხვევაში არ დასწერდნენ:

„სიკვდილით დასჯა ნაშთია ძველი ველური წესწყობილებისა, სიკვდილით დასჯა გათელვაა ადამიანის პიროვნებისა, ღირსებისა და ის აზრი ამის შესახებ შეუწყნარებელია“.

მათ მეხსიერებაში იმ შემთხვევაში გაიელვებდა ის აზრი, რომ რევოლუციამდე, მის მომზადების ხანაში ისინი თვით იყვნენ მომხრე ტერორის ე. ი. სიკვდილით დასჯის, რომელიც ნაშთია სიველურის და სხვ. და რომელსაც ახლა ასეთი თავგამოდებით უარყოფენ.

ჩვენ კი, მაშინ უარვყოფდით ამ ზომას, როგორც ტაქტიკურათ უაზროს და მიზანშეუწონელს, რადგან იგი მხოლოდ უშლიდა ხელს პროპაგანდა-აგიტაციის გაწევას და ასე, კლასობრივ შეგნების გაღვივებას. სამაგიეროთ, როცა კრიტიკის იარაღის ადგილს იარაღით კრიტიკა იჭერს ე. ი. მოქალაქობრივი ომი ჩაღდება, და უკანასკნელი სიტყვა იარაღს ეძლევა,—ჩვენ ტაქტიკურათ აუცილებლათ მაგვაჩნია სიკვდილით დასჯასაც არ მოვერიდოთ. ცხადია, აქ პრინციპზე არაა საქმე, არც სისხლის სამართლის წესებშია. აქ სდგას საკითხი რევოლუციის, რევოლუციის პოლიტიკის და რევოლუციამ კი ქალაჩუნობა და თავზე ხელის მოსმა არ იცის.

* *
*

გაზ. „საქართველო“ ცუდ გუნებაზე დაუყენებია ეროვნულ პრობლემაზე ფიქრსა და ოცნებას. მიუხედავათ იმისა, რომ ავტონომიის საკითხი თითქმის ყველა პარტიებს აქვთ თავის პროგრამაში მოხსენებული, მიუხედავათ იმისა, რომ კიევში ერთა ყრილობა ხდება დღეს და თვით ყაზახ-რუსებიც კი ფედერატიულ-ავტონომიურ რესპუბლიკას დაარსებას მოითხოვენ, გაზეთი მაინც სასოწარკვეთილებას მისცემია და ძალთა განწყობილების იმედი არ აქვს.

მას არ სწამს, რომ სოციალისტურმა პარტიებმა,—ესერებმა და ს.-დ.,—ბოლოს და ბოლოს ავტონომია-ფედერაცია პრაქტიკულ სამოქმედო სფეროშიაც ისე გულმხურვალეთ დაიცვან როგორც ეს გაზეთის მესვეურთ ეპრიანებათ.

დროებითი მთავრობა დღეს წინააღმდეგია რევოლუციონური გზით ეროვნული საკითხის გადაჭრის, კანონმდებლობითი გზით მისი გადაჭრა კი გაზეთს, მით უმეტეს, საეჭვოთ მიაჩნია.

„უმჯობესია გადაჭარბებული ილიუზიები არ ვიქონიოთ საკუთარი ძალების შესახებ: ეროვნულ პოლიტიკურ ავტონომიის იდეას დიდი შანსები არ აქვს გამარჯვებისათვის, თუ საკითხი საკანონმდებლო გზით წავიდა“.

გაზეთი ამ პესიმიზმს იმით ასაბუთებს, რომ თვით დაჩაგრულ ერებში დიდია ცენტრალისტური მიდრეკილებები, ზოგიერთ ადგას ავტონომიის იდეა არაა საკმაოთ ფეხ-მომაგრებული, როგორც, მაგ., ჩვენში, ზოგი ერები სულ ჩამოშორდენ რუსეთს, (პოლონეთი, ფინლიანდია). ამნაირათ რაზმი ავტონომისტ-ფედერალისტებისა მცირე ყოფილა.

რუსეთის დემოკრატია გაზეთს, რასაკვირველია, ანგარიშში არ აქვს მიღებული. აბა, რის ნაციონალისტები იქნებოდენ „საქართველოელნი“, რომ დემოკრატიის იმედი ქონდეთ და ეროვნულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მისგან მოელოდენ?

მათ არ სწამთ დემოკრატიის იდეალია რომელიც ჩაგრულ ერთა აუცილებელ გამოქომაგებას და დაცვას მოითხოვს, ისინი ვერ ხედავენ თვით ნაციონალისტთა სიძლიერეს და აი, ესაა წყარო მათი სასო მიხდილობის და პესიმისტურ სულისკვეთების.

ამიტომ ასკვნის გაზეთი ასეთ უიმედო ფრაზებით:

„დღევანდელი მთავრობაც და საკუთარი მდგომარეობაც ამ ერებს ლოდინს უკარნახებს დამფუძნებელ კრების მოწვევამდე, დამფუძნებელ კრებაში უფრო მოსალოდნელია დამარცხება, ვიდრე გამარჯვება“.

ასეთ აზრებს უბადებს ეროვნ. დემოკრატების ორგანოს კიევში გამართული ერების თათბირი.

* *
*

სამაგიეროთ, ჩვენი ფედერალისტების ორგანო სიხარულით ფეხზე აღარ დგას:

„დადგა დრო, როდესაც ფართო ასპარეზი ეძლევა ჩვენ მეორე პოლიტიკურ პროგრამულ მოთხოვნილებას—ფედერატიულ რესპუბლიკას. ეს აზრი ისევე, როგორც ავტონომისტური აზრები, ბევრში ბადებდა უკმაყოფილებას. მაგრამ გავიდა დრო და თვით სინამდვილემ დაამტკიცა ფედერალიზმის სიცხოველე. კიევში გამართულ ერთა ყრილობაზე მედგრათ გაისმა ფედერალისტების ხმა და ფედერალისტური აზროვნება რუსეთის სახელმწიფოებრივ აზროვნებად გადაიქცა... იგი რუსეთის სახელმძღვანელო აზროვნებათ გადაიქცა და სწორედ ეს გარემოება აიძულებს დროებით მთავრობას ანგარიში გაუწიოს ფედერალისტურ აზროვნებას.. ამის შემდეგ მაინც უნდა დარწმუნდეს ყველა, რომ ფედერალიზმი ისეთი აზროვნებაა, რომელიც მოკლე ხანში შესაძლებელია საფუძვლათ დაედოს რუსეთის სახელმწიფო წესწყობილებას“.

ეს დაუსრულებელი ტრაბახი გამოწვეულია იმავე კიევის თათბირით, რომელიც „საქართველოს“ ძალთა გამოანგარიშებით საიმედო შანსებს არ იძლევა.

ვინ ცდება ამათში?

ჩვენ გვგონია, რომ ორივენი. პირველნი, საცა დემოკრატიის ძალას მხედველობაში არ იღებენ. მეორენი, როცა ნაციონალისტური ლაშქრის ასეთ განდიდებას და გაზვიადებას ცდილობენ. ალბათ, ამ უზომო ტრაბახით და თავის ქებით მიზნათ აქვს პარტიული კაპიტალი შეიძინოს. იგი ამიტომ გაჰყვირის: „შემომხედეთ, რა ყოჩაღი ვარო“. ნამდვილათ კი, იგიც დემოკრატიის ძალას და გავლენას უყურადღებოთ სტოვებს.

ხოლო რუსეთში კი მთავარი ძალა დღეს დემოკრატიაა. და ამიტომ ეროვნული საკითხიც ამ დემოკრატიის პრინციპების მიხედვით გადაწყდება. ნაციონალისტთა მოძრაობას, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა აქვს და საკმაოთ დიდი მნიშვნელობაც, მაგრამ გადამჭრელი როლი მას არ მიეცემა. ის რომ ასეთ როლს თამაშობდეს, რუსეთი უკვე დაქუცმაცებული იქნება და რევოლუცია წაგებული, ისე, როგორც ეს მოხდა ავსტრიაში 1848 წლის რევოლუციის დროს. და სწორეთ დემოკრატიას და მის სახელმწიფოებრიობას უნდა ვუმადლოთ შერჩენა თავისუფლების (ეროვნულისაც) და იმედი მომავალში მისი განმტკიცებისა; აქედან ფედერაციამდე კი, დიდი მანძილია.

საარჩევნო ფონდი.

ამ დღეებში რუს. ს.-დ. მუშ. პარტ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა შემდეგი შინაარსის მოწოდება გაუგზავნა პარტიულ ორგანიზაციებს: „ამხანაგებო! ახლოვდება დამფუძნებელი კრების არჩევნები, რასაც ქვეყნისა და რევოლუციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ რევოლუციაში ს.-დემოკრატიულ პარტიას მძიმე მოვალეობა დააწვა კისრად, მან იდეური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს მთელ დემოკრატიას.

განსაკუთრებით ს.-დემოკრატია ერთად ერთი ძლიერი პარტიაა, რომელსაც შეუძლია შეაერთოს, ერთი აზრით და მოქმედებით შეაკავშიროს აქ დასახლებულ სხვადასხვა ეროვნებათა დემოკრატია.

ბრძოლა ნაციონალურ პარტიებთან, რომლებიც შუღლს და მტრობას სთესვენ სხვადასხვა ერებში და მით აფერხებენ რევოლუციის განვითარებას, პარტიის ერთი მთავარი მიზანია.

ეს ბრძოლა უფრო მეტად უნდა გაძლიერდეს ამ საარჩევნო კომპანიის დროს, მით უმეტეს, რომ მთელი ამიერ-კავკასია ერთ საარჩევნო ოლქად არის აღიარებული.

მეტად ძნელი და რთული საქმე აქვს გასაკეთებელი ს.-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც უნდა გაატაროს საარჩევნო კომპანია სხვადასხვა ერთა ფართე მასაში.

განსაკუთრებით დიდ შრომას და ენერგიას მოითხოვს საარჩევნო აგიტაციის გაწევა ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც მცხოვრებნი ნაკლებათ მომზადებულნი არიან ს.-დემოკრატიულ პროპაგანდის შესათვისებლათ.

ს.-დემოკრატიას და მის ხელმძღვანელ ორგანოებს შეუძლიათ ფართე ნიადაგზე დააყენონ საარჩევნო კომპანია, უკეთუ მას ექნება ბლომათ ფული.

ბურჟუაზიულ პარტიებს დიდი შეძლება აქვთ. რასაც ჩვენ წინააღმდეგ გამოიყენებენ.

ამიტომ საოლქო კომიტეტი მიმართავს თავის ამხანაგებს, ყველა თანამგრძნობთ და პარტიის წევრთ, უპირველეს ყოვლისა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, მიიღონ ენერგიული ზომები საარჩევნო პარტიულ ფონდის დასაარსებლათ.

თავის მხრით საოლქო კომიტეტმა დაადგინა: წინადადება მისცეს ყველა ორგანიზაციებს და პარტიის წევრებს გადასდონ პარტიის საარჩევნო ფონდისთვის ორი დღის სამუშაო ქირა. ამგვარათ შეგროვილ ფულებიდან 80 პროც. უნდა გადაიდოს საოლქო კომიტეტის კასისთვის და დანარჩენი დარჩეს კასაში, ადგილობრივ ორგანიზაციის ხელში არჩევნებისთვის მოსახმარებლათ.

სოფლებში პარტიის წევრები და თანამგრძნობნი იხდიან იმდენს, რამდენსაც გადასწყვეტს ადგილობრივი ორგანიზაცია.

ამხანაგებო! საქმე თქვენზეა, მხოლოდ პროლეტარების გროშების იმედი აქვს ჩვენ კასას.

დაიჩქარეთ, ამხანაგებო, დრო არ ითმენს! მოაწყვეთ ფულების მოგროვების საქმე ცეხებში, ჯგუფებში და რაიონებში, მოაწყვეთ მიტინგები, გამართეთ დადგენილებები ჩვენი პარტიის ფონდის დასაარსებლათ, შეაგროვეთ ფული, გადასდეთ ორი დღის სამუშაო ქირა!

გახსოვდეთ, ამხანაგებო, რომ თქვენგან შემოტანილი თვითოეული კაპეიკი აძლიერებს ჩვენ კასას არჩევნების დროს. ს.-დემოკრატიის გამარჯვება კი, თავისუფლების და რევოლუციის გამარჯვებაა.

შეიტანეთ, ამხანაგებო, თქვენი შრომით მოპოვებული კაპეიკები პარტიის საარჩევნო ფონდის კასაში.

ამიერ კავკასიის ორგანიზაციების საოლქო კომიტეტი რუსეთის სოც.-დემ. მუშათა პარტიისა.

ჭიათურა და სამტრედია.

ეს ორი ქალაქი, ხვალ, 17 სექტემბერს, ირჩევს თავის პირველ ხმოსნებს, პირველათ აღადგენს თვითმართველობას;

დღემდე ყოველ თავისუფლებას მოკლებულნი, სხვის საპატრონოთ მიჩნეულნი, ახლა, თავისუფლების სხივებთან ერთად პოულობენ თავის დამოუკიდებლობას შინაურ ეკონომიურ საქმეებში.

არჩევნების საშვალებით ქმნიან იგინი საბჭოს, რომელიც მათი ნდობით იქნება აღჭურვილი, როგორც მათი სურვილების და მისწრაფებების გამომხატველი.

ყველა პარტიას სურს ამ ნდობის მიღება, ხალხის ინტერესების ნამდვილ გამომხატველის სახელის მოხვეჭა. თვითეული მათგანი ამ მიზნით აუარებელ დაპირებებს იძლევა—აშენებას და დამშვენებას პირდება მოქალაქეთ.

მაგრამ სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი.

და ჩვენც ყველას ეს საქმე უნდა მოვთხოვოთ თვითეული მისი ნაბიჯი საქმიანობის მიხედვით გავსინჯოთ.

აბა, ჰკითხეთ ჭიათურის მუშებს, რომელნიც მრავალ მილიონებს სიმდიდრეს იღებენ ჭიათურის მაღაროებიდან, როდის და რამდენი უზრუნვია მასზე იმ მრეწველთა საბჭოს, რომელშიაც ხელმძღვანელობა და მეთაურობა ჩვენ მამულიშვილთა პარტიის ს.-ფედერალისტების ბელადებს ეჭირათ.

რა მისცეს მათ მუშებს? რით გააუმჯობესეს ჭიათურის მცხოვრებთა მდგომარეობა? საკმაოა კითხვა დაისვას და პასუხი თავის თავად ცხადი იქნება.

მათ მრეწველების ჯიბე და კიდევ უფრო თავის ნათესავ-მეგობრების ბედი აინტერესებდათ, ვინემ წარმოების განვითარება, და მით უმეტეს, მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესება.

ჰკითხეთ სამტრედიის კოოპერატორთ, როგორ ეპყრობოდენ ეს ხალხის გულშემატკივარნი,—ამ სახალხო საქმეს, წინ ეღობებოდენ თუ ხელს უმართავდენ?

პასუხი აქაც აშკარაა.

მხოლოდ ერთად ერთი გულშემატკივარი ჰყავდა და ყავს ხალხის ფართე მასსას, დემოკრატიას, მუშებს და გლეხებს—ესაა სოციალ-დემოკრატია.

იგი თვით ხალხის შვილთაგან შესდგება, მათ შეგნებასა და ცნობიერებას ეყრდნობა, ამაზე აშენებს თავის სიძლიერეს. იგი ხალხის გულიდან გამოსულია და ამიტომ მისი ინტერესების საუკეთესო დამცველი და გამომხატველია.

მათი თავდადებული ბრძოლა წარსულში ყველას თვალწინ უდგას.

იგია მხოლოდ ღირსი ნდობის და არჩევის.

ამხანაგებო და მოქალაქენო! სოც.-დემოკრატია ყოველთვის უძღოდა და ხელმძღვანელობდა თქვენს ბრძოლას ძველი რეჟიმის წინააღმდეგ. მისი მეთაურობით ბრძოლაში მოიპოვეთ თქვენ თავისუფლება და მოქალაქობრივი ცხოვრების უფლება და მხოლოდ მის წამოყენებულ კანდიდატებს შეუძლია დღესაც ერთგული, წრფელი და თავდადებული დამცველობა თქვენი ინტერესების.

ამიტომ მიეცით ხმა მხოლოდ სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის სიას № 1.

გაუმარჯოს მუშათა კლასს.
გაუმარჯოს სოციალდემოკრატიას.
გაუმარჯოს სიას № 1.

დეპეშები.

(პ. ტ. ს.)

14—15 სექტემბერი.

კოალიციური მთავრობა.

პეტროგრადი. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 119 ხმით წინააღმდეგ 101 ხმისა მიიღო რეზოლუცია, რომლითაც აღიარა კოალიციურ მთავრობის პრინციპი, შესწორებით, რომ კოალიციიდან გარიცხული იქნებიან კადეტები.

დროებით მთავრობის კრება.

პეტროგრადი. კერენსკის თავმჯდ. მოხდა დრ. მთავრობის კრება. დაესწრენ: ტერეშჩენკო, ნიკიტინი, ვერხოვსკი, ვერდერევსკი და ფინლიანდიის გენერალ გუბერნატორი ნეკრასოვი. კრების გახსნისას კერენსკიმ მოხსენება გააკეთა ფრონტის მდგომარეობის შესახებ და სთქვა, რომ ეს მდგომარეობა საშიში არ არის. შემდეგ ის შეეხო კორნილოვის საქმის გამოძიებას, რომლის შესახებ ცნობები გამოძიების შემდეგ უნდა ოფიციალურად გამოაქვეყნონ. მოისმინეს ნეკრასოვის მოხსენება ფინლიანდიის სეიმის ნება დაურთველად მოწვევის შესახებ. დაადგინეს წინანდელ გადაწყვეტილებას დაადგნენ. დასასრულ შეეხნენ მთავრობის შედგენის საკითხს და ვერაფერ გადაწყვეტილებას ვერ დაადგნენ.

გენ. კორნილოვის და სხვების ქ. ბიხოვში გადაყვანა.

მთავარი ბანაკი. 12 სექტემბერს გენერალი კორნილოვი და აჯანყების სხვა მონაწილენი სპეციალურ მატარებლით გადაიყვანეს ქ. ბიხოვში. დაპატიმრებულებს იცავდა საგანგებო კომიტეტი და კომანდა, იგინი სპეციალურათ მომზადებულ სახლში მოათავსეს. კორნილოვს გარდა იქ გადაიყვანეს 20 კაცი, მათ რიცხვში გენ. რომანოვსკი, ლუკომსკი და პოდპოლ. სახაროვი.

ერების ყრილობა.

კიევი. გრუშევსკი სიამოვნებით აღნიშნავს, რომ ყრილობაზე მთავრობამ გამოგზავნა თავის წარმომადგენელი და იმედი განაცხადა რომ ამას თან მოჰყვება რეალური ზომები, რადგან ყველას უნდა, რომ რუსეთის სახელმწიფო ერების სატუსაღოს მაგიერ ერების სასახლეთ გარდაიქცეს. დროებითი მთავრობის სახელით სლავინსკი აცხადებს: „მინისტრთავმჯდომარემ დამავალა გადმოგცეთ, რომ თავისუფალი რუსეთი შეიძლება იყოს მხოლოდ დეცენტრალისტურათ. ყველაფერს რაც აქ გრუშევსკიმ სთქვა მე მხარს დავუჭერ, რომ რუსეთის ერებს არ სცოდნოდათ რა საბედისწერო დროს განვიცდით, ისინი აქ არ მოვიდოდნენ. მარსის მინდორზე დამარხულია ყველა ერების შვილების ძვლები, რომელთა სისხლით რუსეთმა იყიდა თავისუფლება პეტროგრადის ქუჩებზე. არც ერთ ერს არ შეუძლია სთქვას, რომ მან რაიმე მისცა მეორეს. ეს უნდა დაედვას საფუძვლათ რუსეთის ახალ წეს-წყობილებას ისე, როგორც დამყაყებული [illegible] ქრება, ყოველივე მთავრობისადმი უნდობლობა, რასაც წინა[illegible] ქონდა ფესვები გამდგარი. დასასრულ სლავინსკი ამბობს, რომ თავისთავათ მთავრობა არაფერია და ერები უმთავრობოთ—ბრბოა. მხოლოდ მაშინ გაივლის მეთორმეტე საათი მშვიდობიანათ, როცა დამყარდება ურთიერთ შორის ნდობა.

ფინლიანდიელ ს.-დ. მოწოდება.

ჰელსინგფორსი. ფინლიანდიის ს. დემოკრატიულ პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა მოწოდება გამოუშვა, რუსეთის სოციალისტურ პარტიების მიმართ 15 სექტემბერს განზრახულ სეიმის მოწვევის შესახებ. კომიტეტი სალამს უძღვნის დემოკრატიას, რომელმაც გაიმარჯვა ბურჟუაზიის მტაცებლობით პოლიტიკაზე და სურვილს აცხადებს, რომ სეიმისა და რუსეთის მთავრობის შორის ჩამოვარდნილი კონფლიქტი კეთილად დაგვირგვინდეს. ხოლო უკეთუ რუსეთი უარს იტყვის სეიმის მიერ მიღებულ კანონზე ფინლიანდიის სრულ დამოკიდებულობის შესახებ, ამაზე ფინლიანდიის ხალხი ვერ დასთანხმდება.

მუდმივი დელეგაცია საზღვარ გარეთ.

პეტროგრადი. დეპუტატთა საბჭოს ცენტრალურ-აღმასრულებელმა კომიტეტმა საკითხი აღძრა საზღვარ გარეთ მუდმივ დელეგაციის დაარსების შესახებ, რომ განმარტონ რუსეთის რევოლუციის პოზიცია საერთაშორისო პოლიტიკის ამა თუ იმ საკითხებში.

ოფიცერთა კრება.

პეტროგრადი. მოხდა პეტროგრადის გარნიზონის ოფიცერთა კრება, რომელსაც დაესწრო სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი. მან თავის ვრცელ სიტყვაში ნათლად დაახასიათა თუ რა მოხდა ჯარში რევოლუციის დაწყების დღიდან. კორნილოვის აჯანყებამ ჯარისკაცებში გააძლიერა ოფიცერთადმი სიძულვილი. ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საჭიროა მჭიდრო კავშირი დამყარდეს ოფიცრებისა და ჯარისკაცთა ორგანიზაციებს შორის. მხოლოდ ასეთ კავშირს და შეერთებულ მოქმედებას შეუძლია გააძლიეროს ჯარი და მის მეოხებით დაიცვას სამშობლო და რევოლუცია.

ჯარის კომისარის დეპეშა.

პეტროგრადი. საგანგებო ჯარის კავშირი დეპეშით აცნობებს სამხედრო მინისტრს, რომ პეტროგრადის დეპუტატთა საბჭოს მიერ მიღებული რეზოლუცია სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ სხვანაირათ გაიგეს, თითქოს სიკვდილით დასჯა ფაქტიურათ მოსპობილი იყოს. ამიტომ გახშირდა შემთხვევები, რომ კერძო პირნი და ჯარის მთელი ნაწილები აღარ მორჩილდებიან უფროსებს, ამას მოჰყვა ის, რომ ამ ბოლო დროს სიკვდილით დასჯის განაჩენები აუარებელი გამოაქვთ.

ქ. არხანგელსკში შესვლის აკრძალვა.

პეტროგრადი. ზღვათა მინისტრის განკარგულებით 20 სექტემბრიდან აკრძალულია ქ. არხანგელსკში შესვლა.

არეულობა.

ტამბოვი. კოზლოვის მაზრაში არეულობამ სტიქიური ხასიათი მიიღო. გადასწვეს და გაანადგურეს ოცზე მეტი მამული. რომ არეულობა სხვა მაზრებშიაც არ გავრცელდეს, დეპუტატთა საბჭომ, საგუბერნიო მიწების კომიტეტმა, კომისარმა და პროკურორმა საჭიროთ დაინახეს ყველა კერძო მიწები ადგილობრივ მიწების და სასურსათო კომიტეტების განკარგულებაში გადასცენ, რომლებიც ვალდებული არიან დაიცვან ეს მიწები.

— ბაზარში ბრბომ გაანადგურა დუქნები. მოკლეს გამგეობის ყოფილი თავმჯდომარე დავიდოვი. გამოიწვიეს ჯარები.

— არეულობა გრძელდება. ბევრი მაღაზიები გაძარცვეს. ზარალი რამდენიმე ასი ათასი მანეთია. ბაზარი ჯარმა შეკრა.

განაჩენი სუხომლინოვის შესახებ.

პეტროგრადი. 8 საათ. თათბირის შემდეგ ნაფიც მსაჯულთა სასამარ. სუხომლინოვი დამნაშავეთ იცნო სახელმწიფო ღალატში და სხვა. მისი ცოლი გაამართლა. ამის შემდეგ სასამართლომ გამოიტანა განაჩენი, რომლის ძალითაც სუხომლინოვს ჩამოერთმევა ყოველივე ღირსება-უფლება და გაიგზავნება კატორღაში უვადოთ. სუხომლინოვი გარეგნულათ მშვიდათ შეხვდა განაჩენს, მის ცოლს ისტერიკა მოუვიდა.

სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობა.

პეტროგრადი. ფინანსთა მინისტრომ გამოაქვეყნა ვრცელი ცნობა სახელმწიფო ხაზინის მდგომარეობის შესახებ. ომით გამოწვეული ხარჯები აღწევს 1.392 მილიონს. ძლიერ აიწია შრომის ფასის გადიდების მოთხოვნამ, რამაც გამოიწვია ნედლი მასალის და საზოგადოთ ცხოვრების გაძვირება. სახელმწიფო ვალი უდრის 35 მილიარდს. პროცენტების გადასახადათ ყოველ წლივ საჭიროა 1 მილიარდი და 800 მილიონი მანეთი. მინისტრი მოუწოდებს ყველას, ვისაც უყვარს სამშობლო და თავისუფლება, ომის გათავებამდე ნუ წაუყენებენ მას დიდ მოთხოვნებს.

გერმანიის მიერ ჩამოხრჩვალები.

პეტროგრადი. პეტროგრადში მოსულ ცნობებით რიგის დაპყრობის დღიდან გერმანელებს იქ ჩამოუხრჩვიათ 150 კაცი, რომლის უმრავლესობა ლატიშის ს.-დემოკრატიულ პარტიის ორგანიზაციის წევრები იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ფოსტა.

ქრისტიანიიდან მიღებული ცნობებით, ზავის ჩამოსაგდებათ ნიადაგს შინჯავენ ინგლის-საფრანგეთი და გერმანია; ზავი რუსეთისათვის არ იქნება ხელ-საყრელი. ბალტიის მხრის გუბერნიები გერმანიის ხელში რჩება. ლიტვა-პოლონეთიდან უნდა შესდგეს ცალკე სახელმწიფო გერმანიის მფარველობის ქვეშ. ფინლიანდია შვეციის მფარველობის ქვეშ იქნება. ბელგია, სერბია და ჩერნოგორია უნდა აღდგენილ იქნან მეომართა ხარჯით, რუმინია კი,—საკუთარი ხარჯით. ინგლის-გერმანიას შორის აფრიკის ახალშენების გაცვლა-გამოცვლა მოხდება. ინგლისის გავლენა გაძლიერებული იქნება სპარსეთში და მცირე აზიაში.

— რკინის გზის მოსამსახურეთა წარმომადგენლები დათმობის გზას დაადგნენ. მოთხოვნა 28 პროცენტით შეამცირეს. მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებას მოუნდება ნ ნახევარი(?) მილიარდი მანეთი.

— აზრათ აქვთ ჯარის რაოდენობის შემცირება. განთავისუფლებული იქნებიან სამსახურიდან 40—43 წლიანები და წლოვანობის შესრულებამდე გაყვანილი ჯარისკაცები, რომელთაც ბრძოლაში ჭრილობანი მიიღეს. ჯარის რაოდენობა ფრონტზე არ შემცირდება. ზურგის დაწესებულებებში მყოფი ჯარისკაცები ფრონტზე გაიგზავნებიან.

— მცხოვრებთათვის საჭირო საგნების მიმწოდებელმა კომიტეტმა 600 ათასი ფუთი ფეხსაცმელის ძირის ტყავი შეუკვეთა ამერიკის ფირმებს.

— კორნილოვის შეთქმულობის გამო რუსეთის ზოგიერთ ადგილებში შემოღებული სამხედრო წესები ბევრ ალაგას უკვე გააუქმეს.

— პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირზე მისულ დელეგატების უმრავლესობა სოც.-რევოლიუციონერები არიან. თათბირის მონაწილენი, რომლებიც კოალიციის მომხრენი არიან, შეეცდებიან ჩხეიძის პლატფორმის გარშემო ბურჟუაზიულ ელემენტებთან კოალიციის შედგენას. თუ ეს არ მოხერხდა, მთავრობას შეადგენს თვით დემოკრატიული თათბირი. კერენსკი მთავრობაში არ შევა. მინისტრ-თავმჯდომარეთ იქნება წერეთელი და, უკეთუ ის უარს იტყვის, გენ. ვერხოვსკი.

— კოზლოვში, ტამბოვში და ორიოლში უწესოებანი ხდება. მოსკოვიდან ჯარები გაგზავნეს.

ყაზახების თხოვნა.

ნოვოჩერკასკი. ყაზახები თხოულობენ კალედინს ნება მისცენ ნოვოჩერკასკში წარსდგეს საგამომძიებლო მთავრობის წინაშე და არა მოგილევში.

ამერიკა-იაპონიის მოლაპარაკება.

ტოკიო. გაზეთებმა ინგლისიდან მოსული ცნობა მოათავსეს, რომ ამერიკას და იაპონიას მოლაპარაკება აქვთ, რომ უკანასკნელი ჩაერიოს ომში რუსეთის მაგიერ.

გერმანიის წინააღმდეგ.

პარიზი. ბუენოს-აირესიდან იტყობინებიან, რომ პალატამ 53 ხმით წინააღმდეგ 18 ხმისა გადასწყვიტა დიპლომატიური კავშირი გასწყვიტოს გერმანიასთან.

არეულობა ასტრახანში.

ასტრახანი. პურის პაიკების შემცირების გამო მოხდა არეულობა. ბრბო შეიჭრა კომისარიატში და გუბერნიის კომისარს სცემა. ყაზახების და მილიციის მოსვლის შემდეგ ბრბო დაიშალა.

იარაღზე მოთხოვნილების გაძლიერება.

ჰელსინგფორსი. ამ უკანასკნელ ხანებში ფინლიანდიაში ძლიერ გაძლიერდა იარაღზე მოთხოვნილება. ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ამ ხანად მთელ მხარეში ბურჟუაზიული და წითელი გვარდია იარაღდება. ეს ორი ელემენტები სხვა და სხვა ერთი მეორეს საწინააღმდეგო მიზანს ემსახურებიან. ბურჟუაზია იცავს ცენზიან ელემენტების ინტერესებს, ხოლო მეორე წარმოადგენს მშრომელ ხალხის მებრძოლ ორგანიზაციას. ერთიცა და მეორეც გამალებით იძენს იარაღს. „მუშათა გაზეთი" ამბობს, რომ წითელ გვარდიის შედგენა გამოიწვია შრომასა და კაპიტალს შორის იმ გვარმა გამწვავებულმა მდგომარეობამ, რომლის დროს საჭიროა შეიარაღებული ძალა.

აჯანყება ჩინეთში.

პეკინი. გუანიდან და გუანსიდან პეკინში ჯარები იგზავნება პეკინში დაწყებული აჯანყების გასამაგრებლათ. ცენტრალურმა მთავრობამ ზომები მიიღო აჯანყების ჩასაქრობათ.

დემოკრატიულ თათბირის გახსნა.

პეტროგრადი. ნაშუადღევის 4 საათზე გაიხსნა დემოკრატიული თათბირი. პირველი საქმიანი საზოგადო კრება განზრახულია შაბათს. საორგანიზაციო კომიტეტმა მოწვევის ბარათები გაუგზავნა დიპლომატიურ კორპუსის ყველა წევრებს და დროებით მთავრობას.

ჯარისკაცთა სექციის პრეზიდიუმის არჩევნები.

პეტროგრადი. ჯარისკაცთა პრეზიდიუმის ხელახლა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 336 კაცმა. ს. რევ. მიიღეს 10 ადგილი ბოლშევიკებმა 9 და მენშევიკებმა 3.

არეულობის მონაწილე ჯარი

მოსკოვი. მოსკოვის საოლქო სამხედრო შტაბმა კოზლოვიდან ცნობა მიიღო, რომ არეულობაში მონაწილეობა მიიღო ადგილობრივ გარნიზონის ჯარისკაცებმა. დარბევა ბაზარში დაიწყო, ჯარების უფროსმა ხელათ გაგზავნა ტამბოვში რაზმი. იქ წავიდენ დეპუტატთა საბჭოს წარმომადგენლებიც, მეორე რაზმი გაგზავნეს კოზლოვის მაზრაში. ტამბოვში და მაზრებში სამხედრო წესები გამოაცხადეს.

მოქმედი ჯარი. დაიხურა ფრონტზე არსებულ ოფიცერთა კავშირის განყოფილებები და მიღებულ რეზოლიუციით თხოულობენ მთავარ კომიტეტის პასუხისგებაში მიცემას პროვოკატორობისთვის.

ომის დეპეშები.

ლონდონი. 12 სექტემბერს ლონდონს თავს დაესხენ მტრის ჰაეროპლანები. მოკლულია 6, დაჭრილი 26.

ოფიციალური ცნობა. არრას დუეს რკინის გზასთან მტერმა იერიში მოიტანა, მაგრამ უკუ ვაგდეთ. ბრძოლის ველზე მრავალი დაჭრილები დასტოვეს.

პეტროგრადი. ოფიციალური ცნობა. ჩრდილოეთის ფრონტი. რიგის მიმართულებით, პსკოვის გზატკეცილის სამხრეთით, მტრის მზვერავი რაზმი ჩვენზე წამოვიდა, მაგრამ უკუ ვაქციეთ.

დასავლეთის & სამხრეთ დასავლეთის ფრონტი. სროლაა.

რუმინიის ფრონტი. სერეტის მთის სამხრეთ დასავლეთით მტერმა ზარბაზნები დაგვიშინა. შემდეგ ქვეითა ჯარმა იერიში დაიწყო და ჩვენს თხრილებში შემოიჭრა, მაგრამ კონტრ-იერიშით უკუვაგდეთ.

კავკასიის ფრონტზე სიწყნარეა.

ბალტიის ზღვა. ჩვენი ნაღმოსნები და წყალქვეშა ნავები ხელს უშლიან მტრის ფლოტის ჩვენს წყლებში შემოსვლას.

პარიზი. ოფიციალური ცნობა. მდ. ენის ფრონტზე ზარბაზნების სროლამ უმწვერვალეს წერტილამდე მიაღწია. სერნის სამხრეთით ჩვენი რაზმები შეიჭრენ მტრის ბანაკში. შამპანში ტაგურთან ჩვენ წამოვიყვანეთ 10 ტყვე.

მოქმედი ჯარი. 10 სექტემბერს მტერმა კოველის მხრით მახრჩობელი გაზები გამოუშვა. ერმოლინსკის მიმდინარეობით ტიშტუკ-ცე გუსიატინის მიდამოებში მტერი ძლიერათ ისვრის. ჩვენ სროლით ავუტეხეთ პინსკს და ქალაქს ცეცხლი გავუჩინეთ.

ახალი ამბები

◆ ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტმა გუბერნიის კომისარებს გაუგზავნა შინაგან საქმეთა მინისტრისაგან მიღებული შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ვინაიდან სასურსათო კრიზისი თანდათან მწვავდება, ადგილობრივ სასურსათო დაწესებულებებს ეძლევა წინადადებას მიიღონ სასტიკი ზომები, რომ დაჩქარებით მიიღონ პური მცხოვრებლებისაგან. გაცნობებთ რა ზემოდ ნათქვამს, წინადადებას გაძლევთ, თუ სასურსათო ორგანოებმა მოგმართონ დახმარებისათვის, მიმართეთ ყოველივე ზომას, რომ ხელი შეუწყოთ სასურსათო ორგანოთა კანონიერ მოთხოვნილების შესრულებას. ეს დადგენილება აცნობეთ მაზრის კომისარსა და მილიციის უფროსებს".

◆ **მზარეულთა გაფიცვა.** სასტუმრო „ვეტცელი"-სა და „ანონა"-ს მზარეულები გაიფიცენ, ვინაიდან სასტუმროს პატრონებმა არ დააკმაყოფილეს მათი მოთხოვნილებები.

◆ **ფართლეულობის აღწერა.** საგუბერნიო სასურსათო კომიტეტმა განიზრახა ხელ-ახლათ მოახდინოს მთელს გუბერნიაში ფართლეულობის აღწერა. გუბერნიიდან ფართლეულობის გატანის ნება კერძო ვაჭრებს არ აქვთ, მხოლოდ კოოპერატივებს ეძლევათ ამის ნება.

◆ **პურის ულუფის გადიდება.** მუშათა & ჯარ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის დადგენილების თანახმათ მილიციის დაბალ მოსამსახურეებს მიეცემათ პური განსაზღვრულ ნორმაზე მეტი.

◆ **მატარებლის დამტვრევა.** 14 სექტემბერს კახეთის რკინის გზაზე დაიმტვრა საბარგო მატარებელი. დაშავდა 8 კაცი, განადგურდა 13 ვაგონი. რკინის-გზის ლიანდაგი გაფუჭებულია 125 საჟენის მანძილზე.

კრებები და მიტინგები

— დღეს, დილის 2 ს., სახალხო თეატრის დარბაზში დანიშნულია გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის წევრთა საგანგებო კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს., სახალხო თეატრის დარბაზში დანიშნულია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა კრება. განსახილველია ის კითხვები, რომელთა განხილვა ვერ მოასწრეს 13 სექტემბერს.

— კვირას, დილის 10 ს., სახალხო სახლში დანიშნულია მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს კრება. დღის წესრიგი: სიკვდილით დასჯა; მიმდინარე საქმეები.

— კვირას, 17 სექტემბერს, დილის 10 საათზე სახელოსნო კლუბში (მიხეილის პრ.) მიხეილის საავადმყოფოს გვერდით დანიშნულია მე-2 რაიონის რ. ს.-დ. მ. პ. წევრთა კრება. დღის წეს რიგი: 1) მიმდინარე პოლიტიკური მომენტი; 2) პარტიული პრესა; 3) არჩევნები (ამ კითხვებზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. კოწია გვარჯალაძე); 4) მოსკოვის თათბირისა და ს. დ. პარტიის გამაერთიანებელ ყრილობის შესახებ (მოხსენებას გააკეთებს ამხ. ვ. ჯუღელი).

პროვინციის ქრონიკა.

ძაღ. ლანჩხუთი. აღმასრულებელი კომიტეტის მორიგ კრებაზე გამოირკვა, რომ ზოგიერთი პირები თავის ნებით შედიან ტყეში, სჭრიან და გააქვთ შეშა თუ სხვა ხეები გასასყიდათ. ზოგიერთები თვრებიან, თოფების თუ რევოლვერების სროლით წესიერებას არღვევენ. კომიტეტმა დაადგინა ასეთი ურჩი პირების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღოს. გამოირკვა, რომ სოფლებში კარგათ მიდის საქმე.

— სოფლად სრულიად გაათახსირეს და დასცეს ხელოვნება. ყველას, შეუძლია თუ არა, მართავს ისეთ წარმოდგენებს, რომელთა მოწყობა ქალაქის სცენაზედაც საძნელოა. მაგ. „დალატი", „ჟან და მადლენა" და სხ. კომიტეტმა აღიარა ეს სამწუხარო მოვლენათ და ნებადაურთველად წარმოდგენების დადგმა აკრძალა.

თელავის ქალაქის საბჭო.

2 სექტემბერს მოხდა ს.-დ. ფრაქციის ხმოსნების კრება, რომელსაც პარტიის წევრებიც ბლომათ დაესწრენ. ამ დღეს მოელოდენ ამხ. ქ. ანდრონიკაშვილს, რომელსაც ქალაქის თავით ასახელებდენ. კრება ჯერ არ დაწყებულიყო, რომ შემოვიდა დარბაზში ქ. ანდრონიკაშვილი. კრება მას მქუხარე ტაშით შეეგება. ამხანაგები მიესალმენ მას და აღნიშნეს, რომ მოგვივიდა არა მარტო შესაფერი ქალაქის თავი, არამედ თელავის ს.-დ. ორგანიზაციას მიემატა ერთი საუკეთესო მებაირახტრე და მუშაკი. მანაც საპასუხო სიტყვით მიმართა კრებას. მცირე თათბირის შემდეგ ფრაქცია მიდის საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს სხდომა გაიხსნა საკრედიტო ბანკის შენობაში. თავმჯდომარეთ დასახელებული იქნა ლ. ვახვახიშვილი (ს.-დ.). ამხანაგათ— ლ. გონიაშვილი (ეროვნ. დ.). ფედერალისტები და დაშნაკელები არ ასახელებენ თავიანთ კანდიდატებს. მდივნათ დაასახელეს თ. ჩანგაშვილი (ს.-დ.). ფარული კენჭის ყრით აირჩიეს: დასახელებული პირები. ლ. გონიაშვილს სოც.-დემოკრატები ხმას აძლევდენ, როგორც პიროვნებას. მდივნათ აირჩიეს თ. ჩანგაშვილი. იმართება კამათი ჯამაგირის შესახებ. ფინანსიური ხელ-მოკლეობის გამო არჩეულნი უარს ამბობენ ჯამაგირებზე. კრება დაიხურა ღამის 2 საათზე. ქალაქის თავის არჩევა გადაიდო შემდეგისათვის.

7 სექტემბერს მოხდა ქალაქის თავის არჩევა, კრება გახსნა საბჭოს თავმჯდომარემ. საზოგადოება ბლომათ დაესწრო. ს.-დ. სახელით დეკლარაციას კითხულობს თ. ჩანგაშვილი, დაშნაკელების დეკლარაციაც იქმნა წაკითხული. შემდეგ იმართება კამათი გამგეობის წევრთა რაოდენობაზე. ზოგნი ამტკიცებენ, რომ შემოსავალი ცოტა აქვს ქალაქს და სამზე მეტს ვერ შეინახავსო, ზოგიერთები მომხრენი იყვნენ 4 კაცი ყოფილიყო. ხმის უმეტესობით გადაწყდა ოთხი: ქალაქის თავი, მისი ამხანაგი და გამგეობის ორი წევრი. ფედერალისტებმა უარი განაცხადეს გამგეობაში მუშაობაზე. არჩეული იქნა ქალაქის თავად ქ. ანდრონიკაშვილი (21 თეთრი 3 შავი) მის ამხანაგათ—ტიგრან კირაკოზოვი (ს.-დ.). გამგეობის წევრებათ: ნ. იმნაძე (ს.-დ.) და გ. ტერ-არუთინოვი (დაშნაკელი). ჯამაგირები დაენიშნათ ქალაქის თავს: 400 მ. თვიურად, გამგეობის 3 წევრს თითოს 200 მ. სხდომას შესაფერი სიტყვით მიმართა ახალმა თავმა ქ. ანდრონიკაშვილმა.

ხოხო.

სტოკჰოლმის კომიტეტის მანიფესტი

სტოკჰოლმის კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტმა შემდეგი მანიფესტი გამოაქვეყნა: „უპირველეს ყოვლისა კომიტეტს სურს კატეგორიულათ განაცხადოს, რომ დღეს თუ არა, ხვალ მაინც მოხდება სტოკჰოლმის კონფერენცია. რომ ინგლისის და საფრანგეთის დელეგატებს მიეღოთ პასპორტები, კონფერენცია აუცილებლათ 27 აგვისტოს მოხდებოდა. გადაწყდება თუ არა საკითხი პასპორტების შესახებ, კომიტეტი მაშინვე დანიშნავს კონფერენციის მოწვევის დღეს.

ინგლისში, საფრანგეთში და იტალიაში ყოფნის დროს რუსეთის დელეგაცია დარწმუნდა, რომ ყველგან მუშათა კლასი მომხრეა სტოკჰოლმის კონფერენციის და საერთაშორისო მშვიდობიანობის ჩამოსაგდებათ მთელი ქვეყნის მუშები საერთო გამოსვლისათვის ირაზმებიან. კონფერენციის მოწვევის იდეას ასე ერთსულოვნათ შეხვდენ იმიტომ, რომ რაც დრო გადის, მუშათა კლასი თანდათან ღრმათ რწმუნდება, რომ მისი პოლიტიკური და ეკონომიურ ინტერესებისთვის აუცილებელია მტკიცე მშვიდობიანობა დამყარდეს მთელ ევროპაში და მომავალში უთანხმოებას ნიადაგი აღარ ჰქონდეს. მუშათა კლასი დარწმუნებულია, რომ საერთო მშვიდობიანობის დამყარება, რომელიც მსხვერპლათ არ შესწირავს მუშათა ინტერესებს კაპიტალ. ბურჟუაზიას, შეიძლება მხოლოდ მთელი ქვეყნის პროლეტარიატს ერთსულოვანი მოქმედებით.

ის გარემოება, რომ დელეგატებს პასპორტები არ მისცეს, აშკარა დამამტკიცებელია იმისა, რომ რეაქცია თანდათან ძლიერდება მაგრამ ამას არ უნდა შეუშინდეს მუშათა კლასი, მას ამაზე უფრო ძნელი დაბრკოლება, გადაულახავს და ახლაც უნდა სძლიოს რეაქციის ასეთ გამოსვლას.

ამიტომ ჩვენ მივმართავთ საფრანგეთის, ინგლისის, იტალიის და შეერთებული შტატების მუშებს, ნება არ მისცენ წაართვან მათ ერთათ ერთი ელემენტარული უფლება აზრთა გაზიარების. საქმე აზრის თავისუფლებას შეეხება, რომელიც, საფრანგეთის რევოლიუციის მიერ მოპოვებული, ძვირფასი განძია. და თუ მუშებს არ უნდათ მორალური თვითმკვლელობა ჩაიდინონ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუთმონ და აზრის თავისუფლების წინააღმდეგ რეაქციონერთა იერიშს საჭირო პასუხი გასცენ.

რომ ჩვენი გამოსვლა საძნელო გვეხადათ, მოწინააღმდეგეებმა მიმართეს ნაცად ჩვეულებას და რომ სამხედრო ჰპინზი გაძლიერონ სხვადასხვა საზღაპრო ამბებს ავრცელებენ. მათ ხელში არის ფლოტი-ტელეგრაფი და ისარგებლეს რა ამ გარემოებით, იგინი იჭერენ ჩვენს განცხადებებს და თითქმის კიდევაც ამახინჯებენ. მაგრამ ჩვენ ამაყათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ ხრიკებით იგინი ფონს ვერ გავიდენ და მუშათა კლასის ნება მტკიცე და შეურყეველი დარჩა. ლონდონში მომხდარ მოკავშირეთაშორისო სოციალისტურ კონფერენციის დიდმა უმრავლესობამ გადასწყვიტა სტოკჰოლმის კონფერენციაზე წასვლის საჭიროება. კომიტეტს თამამათ შეუძლია სთქვას, რომ სტოკჰოლმის კონფერენციის იდეა თანდათან ფეხს იკიდებს. მეორე მხრით, სტოკჰოლმის კონფერენციას მჭიდრო კავშირი აქვს რუსეთის რევოლიუციასთან. რეაქცია ცდილობდა ანარქიის პასუხისმგებლათ გამოეცხადებინა რევოლიუცია და კონტრ-რევოლიუცია გაძლიერდა შეცდომების დაშვებით და ისეთ პირების გამოსვლით, რომლებმაც ვერ გამოიჩინეს სახელმწიფოებრივი სიბრძნე.

ჩვენ გულწრფელ სალამს და აღფრთოვანებას ვუძღვნით რუსეთის ამხანაგ მუშებს და გლეხებს და მხურვალეთ ვუსურვებთ მათ, რომ მჭიდროთ შეერთდენ რევოლიუციურ რუსეთის და დემოკრატიის დასაცველათ, ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ მთელი ქვეყნის მუშები, რომლებიც სიხარულით შეხვდენ თვითმპყრობელობის დანგრევას, მედგრად შეებრძოლებიან საერთაშორისო რეაქციას, რომელიც მთელ თავის იმედებს კონტრ-რევოლიუციაზე ამყარებს. ამასთანავე დარწმუნებული ვართ, რომ გერმანიის და ავსტრიის სოციალისტები შეასრულებენ თავიანთ პარტიულ მოვალეობას და სასტიკათ შეებრძოლებიან ყოველივე გამოსვლას, რევოლიუციის ჩასახრჩობათ, რომელითაც გერმანიას სურს რუსეთის კონტრ-რევოლიუციის მონაწილეთ გახდეს.

კომიტეტმა გადასწყვიტა განაგრძოს თავისი მუშაობა. ის ახლო მომავალში გამოაქვეყნებს ყველა თავის მოხსენებებს და ანგარიშს.

სტოკჰოლმის კონფერენცია საერთაშორისო სოციალიზმის ერთი საფეხური იქნება. ყველა ქვეყნის მუშათა კლასის ერთად მუშაობას ნაყოფი არ ექნება, უკეთუ კონფერენციამ არ შეიმუშავა განსაზღვრული სამოქმედო პროგრამა, ეს მოქმედება სამხედრო მოქმედების გათავების შემდეგაც უნდა გაგრძელდეს. ყველაზე მეტად ამის შემდეგ უნდა ადევნოს თვალ-ყური პროლეტარიატმა არსებულ მდგომარეობას, და მთელი თავისი ინიციატივა და მოქმედება გამოიჩინოს, რადგან სწორედ მაშინ უნდა შემუშავდეს საბოლოოდ ის პირობები, რომლებიც საფუძვლათ დაედება ევროპის და მთელი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებას. ჩვენი აზრით, სტოკჰოლმის კონფერენციამ ინტერნაციონალის აღდგენით იმპერიალიზმთან ბრძოლის ახალი ხანა უნდა დაამყაროს. მას სურს ყველგან დაამყაროს დემოკრატიული წეს-წყობილება; მას სურს ბოლო მოუღოს მომავალში ყოველივე კონფლიქტებს და ეკონომიურ ომებს. მას სურს დაამყაროს საერთო მშვიდობიანობა, მას სურს შექმნას ჭეშმარიტი დემოკრატიული ევროპა. მხოლოდ იქონიეთ მოთმინება და სტოკჰოლმის კონფერენცია აუცილებლათ შესდგება. ამგვარათ მთელი შეგნებულ პროლეტარიატის ლოზუნგათ დარჩება „სტოკჰოლმი".

მანიფესტს ხელს აწერენ საორგანიზაციო კომიტეტის ყველა წევრები.

სოც.-დემ. პარტიაში.

თფილისი.

10 სექტემბერს ავლაბრის თეატრში მოხდა მესამე რაიონის პარტიულ წევრთა კრება. რადგანაც ამ თვის 5-ში მოწვეული საზოგადო კრება ვერ შესდგა კრების მცირე რიცხოვნობის გამო, ეს კრება, მიუხედავათ იმისა რომ საკმარისი პარტიული წევრები მაინც არ დაესწრენ, კანონიერათ ჩაითვალა. პირველი კითხვა იყო თანამედროვე მომენტი. ამხ. არსენიძემ აუხსნა კრებას თანამედროვე პოლიტიკური მომენტი, გაარჩია კორნილოვის და მასთან ერთათ კადეტების კონტრ-რევოლიუციონური შეთქმულობა ყოველ მხრივ, ხაზ გასმით აღნიშნა ის მძიმე მოვალეობა, რომელიც რუსეთის რევოლიუციის ავანგარდს, პროლეტარიატს კისრად აწევს მთელ რუსეთის დემოკრატიის საქმეების მოწესრიგებაში და რევოლიუციის გამაგრებაში და მოუწოდა ყველას რომ რევ. წინააღმდეგ ამ ახალ ხანაში ბურჟუაზიის და კადეტთა გამოსვლებს დაუპირდაპირონ რუსეთის დემოკრატიის რევოლიუციონური ერთი ძლიერი რაზმი. იგივე მოხსენება ამხ. არსენიძემ გაიმეორა რუსულ ენაზე და ამხ. გ. გორლიშიანმა—სომხურზე. ილაპარაკეს სხვა ამხანაგებმაც და ერთხმად მიიღო კრებამ შემდეგი რეზოლიუცია: მთელი ძალა-უფლება სახელმწიფო მართვა-გამგეობისა გადაეცეს დემოკრატიას და გამოცხადებულ იქნას ცენზიანი ბურჟუაზია; დაუყოვნებლივ გადაყენებულ იქნას გენერალი [illegible] და მასთან, მოხდეს [illegible] სამხედრო შტაბში და [illegible] ნაცვლად [illegible] აფიცერთა კალეგია; დაჩქარებით იქნას დამფუძნებელი კრება მოწვეული; ჩამოერთვას მსხვილ მემამულეებს, მასთან საეკლესიო, სახელმწიფო და საუფლისწულო მიწები და ნაციონალურ ფონდათ იქნას აღიარებული, ხოლო დამფუძნებელ კრებამდე ამ მიწების საადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში გადაცემა; წარმოებაზე სახელმწიფო კონტროლის დაწესება; დათხოვნილ იქნას სახელმწიფო დუმა; სასტიკი ზომები იქნას მიღებული კონტრ-რევოლიუციონერთა წინააღმდეგ, ზავის დაჩქარება. დანარჩენი კითხვები გადაიდო შემდეგ კრებისთვის, რომელიც უნდა მოწვეულ იქნას ამ ახლო ხანში.

ა. თუმ.

თფილისი.

14 სექტემბერს მოხდა მეორე სამილიციო უბნის რ. ს. დ. მ. პ. წევრთა კრება. კრებაზე მოვიდა 58 წევრი. მოკლე მოხსენება გააკეთა ამხ. ტარუაშვილმა, სადაც გამოარკვა რომ მუშაობის გასაფართოებლათ საჭიროა ამავე უბნის კომიტეტის არჩევა. კრებამ აუცილებელ საჭიროთ დაინახა არჩეულ პირთაგან ქონდეს უფლება [illegible] უმთავრეს კომიტეტის კრებას, რომ მას შეეძლოს მოხსენება გააკეთოს და სხვა. გადაწყდა კომიტეტში აირჩიონ 15 კაცი. დასახელებულ 18 კაცში, აირჩიეს შემდეგი: კიტაშვილი, ეგიაზაროვი, ნ. ჯიბლაძე, წერეთელი, ს. თავართქილაძე, დ. ფეცხვლაური, ზ. გიორგიშვილი, ა. ცხომელიძე, ვ. ფირცხალავა, ვ. მელიქოვა, თ. მაოკლარია, დ. ჭელიძე, თ. ოსმანიძე, ა. ჭელიძე და დ. კაცენბაუმი. კრებამ დაადგინა გააცხოველონ მუშაობა; კვირაში ერთხელ შეიკრიბონ, გამართონ ლექციები, კითხვები, შეიძინონ წევრები, გადაიხადონ დამფუძნებელი კრების არჩევნების ფონდის გასაძლიერებლათ ერთი დღის ჯამაგირი და სხვა. არჩეულ პირთა, მიენდო შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა და წარუდგინონ საზოგადო კრებას დასამტკიცებლათ, რაც შეიძლება მალე. ახლად არჩეულმა კომიტეტმა გეგმის შესამუშავებლათ დრო შაბათი საღამო დანიშნა.

ლია.

აჯიკაბული.

8 სექტემბერს, შესდგა პარტიის წევრების საზოგადო კრება. ამხ. ა. გიგიბერიძემ მოკლეთ გააცნო კრებას ბაქოს რაიონიულ კომიტეტის დადგენილება და აგრეთვე ბაქოს რაიონიული კონფერენციის დადგენილებები. შემდეგ ამისა კითხვა დაისვა, თუ როგორ მოვექცეთ პარტიის იმ წევრებს, რომელნიც პარტიაში ჩაეწერენ და კრებას კი არ ესწრებიან.

ამის შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილება: ყველა პარტიის წევრები უნდა ესწრებოდენ პარტიულ კრებას; ყოველ კრებაზე ჩამოწერილ იქნას დამსწრე წევრების სახელი და გვარი და ვინც არ დაესწრო, მოეთხოვოს პასუხი, თუ რატომ არ დაესწრო. დაწვრილებით გამომუშავებულ იქნება ზომები მომავალ კრებაზე.

პლანეტა.

მუშათა შორის.

ვადაზურსკაია (თავრიზის რკინის-გზა). მართალია თავისუფლება მივიღეთ, მაგრამ ამით საკითხი გადაჭრილი არ არის. უმთავრესი საქმეა მისი შენარჩუნება. ნიკოლოზის მომხრეებს, თავისუფლების მტრებს არ სძინავთ და ირაზმებიან. ისინი ჩვეულნი არიან ბნელში „მოღვაწეობას. მათ არ შეუძლიათ სინათლეზე არსებობა. აქ ისმება საკითხი,—როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ძვირფასი თავისუფლება იყვეს უზრუნველყოფილი?

აი როგორ: დავაარსოთ სოც.-დემ. ორგანიზაციები, შევკრათ კავშირები, გავავრცელოთ ხალხში მუშათა კლასის ინტერესების დამცველი ჟურნალ-გაზეთები. ერთი სიტყვით, ვეცადოთ დემოკრატია გონებრივათ ავამაღლოთ და თავისუფლებაც უზრუნველყოფილი იქნება. როგორც რუსეთში, ისე აქ, სპარსეთში მცხოვრებ რუსეთის ქვეშევრდომებმა ერთნაირათ ვიგემეთ თავისუფლება. რუსეთში განაგრძობენ ბრძოლას თავისუფლების დასაცავათ, ჩვენ კი აქ გვძინავს.

2 ივნისს აქ დაარსდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია, რომელსაც ბევრი მოწინააღმდეგეები აღმოუჩნდა, მაგრამ ორგანიზაცია განაგრძობს მუშაობას შეგნებული ამხანაგების წყალობით. მაშ ასე, ორგანიზაციულ შეკავშირებით შეგვიძლია თავისუფლების დაცვა. აი რა უნდა ახსოვდეს ყველას.

მემანქანე მოხუცი ლექსო.

მოლითი. მოლითის „რემონტის" მუშები. აქ 80 კაცამდე მუშაობს. თებერვლის რევოლიუციამ ყოველი მიძინებული კუთხე გამოაღვიძა, ჩაგრულთა კლასი შეუდგა თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მუშები ყველგან იწერენ ჟურნალ-გაზეთებს და კითხულობენ. აქაური მუშები კი ჟურნალ-გაზეთებს გაურბიან. ერთი გზა დარჩენიათ მათ სამედლო და სატრფიალო. ესაა—ერთმანეთში კინკლაობა და ლოთობა. გამოატენენ ღვინოს, დაჯდებიან სადგურის ახლოს და მთელი დღე ყვირილში ატარებენ დროს. აწუხებენ მგზავრებს. ამნაირ ცხოვრებას ეძახიან ისინი, ალბათ, კულტურულ ცხოვრებას.

მგზავრი.

ჯარის-კაცთა წერილები.

ერზერუმის რაიონი. აქაური სოფლები საცოდავ მდგომარეობაში არიან. სამუშაო არ არის. პური აღარ იშოვება. მინდვრები და სათიბი ჯარებს აქვთ დაკავებული. სოფლები ქორქომი, ჩიხსა, ვიხი და ხახო დაშორებულია ერზერუმზე 90 ვერსით ოლთისის მხარეზე. ამ სოფლებში საუცხოვო ბაღებია ყოველგვარი ხეხილებისა და აქედან ეზიდებიან ერზერუმში გასასყიდათ ხილს, მაგრამ გზაში ხვდებიან ზოგიერთი ჯარისკაცები, ძარცვავენ და საბრალო სოფლელს, ხელ-ცარიელს, ატირებულს სტოვებენ. შეგნებულმა ამხანაგებმა სასტიკათ დაგმეს ამ ჯენტლმენების საქციელი და სოფლელ თათრებს ურჩიეს ეცნობებიათ მათთვის დაუყოვნებლივ, რაც მოხდებოდა; მართლაც მოვიდნენ გაძარცული თათრები და გვიამბეს: გაძარცვეს ვინ ჩიოდა, ქალები რომ არ გაეუპატიურებიათ. მაშინვე დავაყენეთ ცხენოსანი რაზმი და ღამის 11 საათზე რაინდები შეპყრობილ იქნენ, სამწუხაროთ ჯარისკაცები, რომლებიც მაშინვე გადაეცა გამომძიებელს. ამ ჯენტლმენებს სახელათ მიაჩნიათ ძარცვა-გლეჯა და ქალებზე ძალადობა, რასაც აქ ხშირათ აქვს ადგილი. რადგან ჩვენ ამ დღეებში მივდივართ წინა პოზიციაზე, ვსთხოვთ ყველა შეგნებულ ამხანაგებს მიაქციონ ყურადღება მათთან ახლო მდებარე სოფლებს და ასეთ ვაჟბატონებს წინააღმდეგობას უძლევდნენ, ხელი აიღონ სამარცხვინო მოქმედებაზე, რითაც ჩირქს ცხებს მთელს რევოლუციონურ ჯარს.

ნესტორ ელენტი.

—

დ. ნაგომარი (გურია). 1906 წელს კრილოვის დამსჯელმა რაზმმა ცეცხლის ალში გახვია ნაგომარი. პატარახათ ქცეული, ის უდაბნოს წარმოადგენდა, მაგრამ განადგურებულმა ხალხმა მაინც არ მოუხარა ქედი რეაქციას და კვლავ შეუდგენ კულტურული საქმის მოგვარებას: გახსნეს სამრევლო სკოლა, ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და შეუდგექით უმაღლეს პირველ-დაწყებითი სასწავლებლის გახსნას, მაგრამ ათასგვარი დაბრკოლებები გადაეღობა წინ. ყველა დაბრკოლებები ძლეულ იქნენ. ამ პატარა დაბის მცხოვრებლებმა 5,000 მანეთი შეკრიბეს ურთიერთ შორის სკოლის საქმისათვის. სექტემბრიდან სწავლაც დაიწყება. აქ არსებობს სამკითხველო, საფოსტო განყოფილება და მომხმარებელი საზოგადოება, რომელიც კარგ ნიადაგზე არის დაყენებული. აქ არსებობდა წვრილი საკრედიტო ამხანაგობა, რომელიც დიდ სამსახურს უწევდა ხალხს, მაგრამ ბიუროკრატიის ხელმა ის გაფლანგა და ბოლო მოუღო. ეხლა, იმედია, ისევ შეუდგებიან მოწინავე პირები საკრედიტო ამხანაგობის დაარსებას.

არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ ვსთქვა დეზერტირების შესახებ. ეს ვაჟბატონები კიდევ არხეინათ დასეირნობენ სოფლათ იმ დროს, როდესაც გარეშე და შინაური მტრები თავს დაგვტრიალებენ. დეზერტირებს კი თავი სოციალისტებათ მოაქვთ! სოციალისტები კი არა, ისინი რევოლუციის მტრები არიან და მოღალატენი. დროა, ვაჟბატონებო, წამობრძანდეთ, სადაც იმდენი მებრძოლნი ძმები არიან. სამშობლო და თავისუფლება დაცვას მოითხოვს. სხვისი ხელით ნუ ჰკრეფთ პანტას, თორემ რა პასუხს მისცემთ შემდეგში, რა თვალით შეხედავთ იმათ, ვინც სისხლს ღვრის დღეს თავისუფლებისათვის.

ჯარისკაცი სიმონ მათიკაიშვილი.

—

ბაიაზეთი (ოსმალეთი). აქაური მდგომარეობა დღითი დღე უარესდება. აქ ცხოვრობენ სომხები და უმრავლესობა ქურთები. დიდი დროა საჭირო, რომ ეს ხალხი კულტურულ ცხოვრებაში გადავიდეს. ხშირათ შეხვდებით აქ ქურთებს, რომლებსაც გულ-მკერდს წითელი ლენტი უმშვენებს, თითქოს დიდი ღვაწლი მიუძღოდეს რევოლუციის წინაშე! მათში, რა თქმა უნდა, შეხვდებით ისეთებსაც, რომლებიც სულ უბრალო რამეზე დამით წუთისოფელსაც კი გამოგასალმებს. უმეტეს ნაწილათ მიწის სახლებში ცხოვრობენ, სახლში სიბნელე, უსუფთაობაა. აქაურ ხალხს თუ საქონელი არა ჰყავს ბევრი, ისე ვერ იარსებებს, იმიტომ,რომ სიცივე აქეთ დიდი იცის, ხე ტყე კი არ არის, ამიტომ საქონლის ნაკელს ხმარობენ სათბობათ. აქ არის გადმოვარდნილი ქურთების შეიარაღებული რაზმი რამოდენიმე ათას კაცისაგან შემდგარი. წინათ რაზმი არარატის მთის კალთებზე იმყოფება. აქაური მცხოვრებნი დიდ უხერხულ მდგომარეობაში არიან ეს „შაიკა" ესევა სოფლებს და იტაცებენ ხარებს, ძროხებს, ცხვრებს ათასობით. ხშირათ ჩვენს ტრანსპორტსაც ესევიან ქურთები. არიგებენ ცხენებს, ნივთს და ტანისამოსსაც კი ხდიან. რვა თვის განმავლობაში ათასი ცხენი ეყოლებათ გატაცებული, ის ცხენები, რომლითაც ბრძოლის ველზე ჩვენი მშიერ შიშველი ძმებისთვის სურსათი უნდა მიეწოდებინათ.

18 ივლისს ბაიაზეთის ახლო მდებარე ორ სოფელს დაეცა ქურთების „შაიკა", გაიტაცეს ცხენები, საქონელი ჩვენ დავატოვებინეთ.

21 ივლისს იმავე სოფლიდან ასმა ცხენოსანმა ქურთმა საქონელი გაიტაცეს. კაზაკების დახმარებით დავატოვებინეთ. 23 ივლისს დარაჯი მოგვიკლეს, 24-ს ჯარისკაცი დასჭრეს. მისაშველებლათ წავიდა პრაპორ. ჩიკვ ბოგუსლავსკი რვა ყაზახით, რომელიც მოჰკლეს.

ბოგუსლავსკის დაკარგვა ყველასათვის სამძიმოა. ის იყო სოციალ-დემოკრატი—ჩვენი სული და გული, ის დიდებული ამხანაგი იყო. ერთი საათით იმასთან ლაპარაკი დაუფასებელი იყო ყველასათვის. მასთან ერთათ მოჰკლეს ოთხი ყაზახი, მათი ცხენები, თოფები და ფული წაიღეს.

18 აგვისტოს ჩვენი ფურაჟირები ბაიაზეთში წავიდნენ, ალბათ დროის გასატარებლათ. ამ დროს ქურთებმა დაცემა მოახდინეს. წაიყვანეს ათას სამოცდა ათი სული საქონელი. დღე ნახევარს სროლა არ შეწყვეტილა. ჩვენი მხრიდან ცოტა დაჭრილ-მკვდარი, ქურთების მხრით—მეტი, მხოლოდ 70 სული საქონელი დაატოვებინეს. ათასი სული წაიყვანეს ქურთებმა.

არარატის მთის მარცხნით რკინის გზაა გაყვანილი, რომელიც მიდის ვანის მხარეზე. აქ შეიძლება ქურთებმა გზა წაახდინონ და ბრძოლის ველზე მყოფი ჩვენი ძმები მშიერნი დარჩნენ. საჭიროა მთავრობამ ყურადღება მიაქციოს ამ მოსალოდნელ ხიფათს.

აცანელი მელიტონ.

—

პარტიის გაერთიანების გარშემო. „ერთობის" 6 აგვისტოს ნომერში მეტად საყურადღებო წერილია მოთავსებული რედაქციისაგან, 18 აგვისტოს პეტროგრადში იქნება მოწვეული ყრილობა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველა მიმდინარეობისა, სადაც უნდა იქნას მიღებული ყოველივე საშუალება პარტიის ერთ მთლიან ორგანიზაციათ გაერთიანებისა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი პარტიის თითეული წევრისთვის დიდათ სასიხარულოთ უნდა ჩაითვალოს ასეთი გადაწყვეტილება, ყველასათვის ნათელი წარმოსადგენი უნდა იყოს, რომ ჩვენი პარტიის ასე დაქსაქსულად დარჩენა მეტად მავნებელი იქნება და ხელის შემშლელი პარტიულ მუშაობისათვის. მიმდინარე საქალაქო არჩევნებმა ყველგან ნათლად დაგვანახვა, თუ რამდენად საჭიროა პარტიის გაერთიანება და რამდენად დამაბრკოლებელია ამ პირობებში დარჩენა შემდეგში.

ყოველივე საშუალება უნდა იქნას მიღებული, რომ პარტია გაერთიანდეს ორგანიზაციულად მაინც, თუ ტაქტიკურ კითხვებში შეუძლებელი დარჩება შეთანხმება. ჩემის აზრით, ზოგიერთ სადაო კითხვებში ჩვენ, მენშევიკებმა, უნდა დაუშვათ კომპრომისები ზოგს კიდევ სხვა ფრაქციები დასთმობენ და ასე მივიღებთ ერთ მთლიან პარტიას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ დამფუძნებელი კრების არჩევნები მოახლოვებულია და ამ საისტორიო მომენტს მჭიდროთ შეკავშირებული უნდა შევხვდეთ, ეს საკითხი ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა უპირველეს მორიგ კითხვად უნდა დაისახოს. თუ კი დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების ს. დ. პარტიის გაცილი ისტორიები გვიჩვენებს მათ მიმდინარეობათა შეთანხმებას და ერთ ორგანიზაციაში მუშაობას, ნუ თუ ჩვენში შეუძლებელი დარჩება და უნაყოფოთ ჩაივლის გაერთიანებელი ყრილობის შრომა? მართალია, ამ საკითხს ბოლშევიკების ორგანო „კავკაზსკი რაბოჩი" უარყოფით ეხება ერთ-ერთ მეთაურ წერილში, მაგრამ მაინც ვერ დავიჯერებ, რომ პარტიის გაერთიანების სარგებლობას ცივად შეხვდნენ.

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ ამხანაგებს ევალებათ ამ კითხვას მეტი ენერგია მოახმარონ.

მაშ, ნუ ვაგვიანებთ, ამხანაგებო!

ჯარისკაცი პორფილე მეხუზლა.
ქ. ტრაპიზონი.

—

პოზიციიდან. ცხრა წელიწადია სამხედრო სამსახურში ვიმყოფები. 5 წელი ვიყავი ნამდვილ სამსახურში, (იაპონიასთან ომში მონაწილეობას ვიღებდი). 1914 წელში მობილიზაცია რომ მოხდა, იმას შემდეგ კი პოზიციაზე ვიმყოფები. პოზიციაზე და სანგრებში დიდ გაჭირვებას განვიცდით. დღეს ხალხმა მოიპოვა თავისუფლება; ყველას გვინდა თავისუფლებით სარგებლობა, მაგრამ უპირველესათ მის დაცვა უნდა, მაგრამ ისე კი არა, როგორც ზოგიერთმა პირებმა მიატოვეს პოზიცია და გაეშურენ სახლისაკენ. ზოგიერთი პირები კიდევ სახლში არიან, დეზერტირობენ. ამხანაგებო! ნუ დაივიწყებთ იმ პირებს, რომლებიც ეს მეოთხე წელია პოზიციაზე და თხრილებში სხდებიან და მტრის ტყვიას მოელიან—შიმშილ წყურვილში და სიცივეში. ამხანაგებო, დაგვეხმარეთ, მხარი დაგვიჭირეთ, რომ დავიცვათ სისხლით მოპოვებული თავისუფლება და სამშობლო. არ არის კარგი ამხანაგების მიტოვება და სახლში ჯდომა, დამალვა. ჩვენც გვაქვს ოჯახი, ცოლ-შვილი, მაგრამ ვერ მოვდივართ ბრძოლის ველიდან. მტერს ვებრძვით და ამით ვიცავთ თავისუფლებას. ჩვენც გვინდა თავისუფლება და სამშობლოს ნახვა, მაგრამ აქ ვინ დარჩება, რომ ჩვენც თქვენს მსგავსად მივბრძანდეთ და სახლებში გავიქცეთ. გავათავოთ ქვეყნიერების დამღუპველი ეს ომი და მერმე ყველანი ერთათ შევუდგეთ შინაური ცხოვრების მოწყობას.

გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს.
გაუმარჯოს რევოლიუციონურ ჯარს.

ქართველთა მსროლელი პოლკის ჯარისკაცი ბიქტორ. მარ. კაპაუმაძე.

—

ჯარისკაცი დოროფეი იაკობის ძე გელაშვილი გარდაიცვალა მე 416 საველე საავადმყოფოში, ის თფილისის გუბერნიის, გორის მაზრის, სოფელ მეტეხის მცხოვრები იყო. ფული დარჩა მას საავადმყოფოს კასაში 80 მ. 62 კ. გარდაიცვალა „დიზინტერიით" 1 სექტემბერს 1917 წ.

ჯარისკაცი მიხეილ თოიძე.

პროვინციის ცხოვრება

სოფ. შემოქმედი. (გურია) 29 აგვისტოს მოხდა შემოქმედის საზოგადოების აღმასრულებელ კომიტეტის კრება ადგილობრივ კოლექტივის რ. ს. დ. მ. პ. ზოგიერთ წევრების თანდასწრებით. სოფლის სასამართლოში კრებამ აირჩია დეფუტატები კონფ. ჰას ყრით: ლუკა ჰანჯყავაძე, მიხაკო ქილიფთარი, ილარიონ ჩიქაიშვილი. მათ კანდიდატებათ: სამსონ მჟავანაძე და ერასტი თითკანაძე.

შემოქმედს ტყეები აკრავს, რაიც ამ რევოლუციის დროს იჩეხება. ამიტომ ტყის დასაცავათ არჩეულ იქნა საადგილ-მამულო სასოფლო კომიტეტი 7 კაცისაგან შემდგარი. ძლიერ საჭიროა საადგილ-მამულო კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდეს ტყის მოვლას. უნდა იყოლიოს მუდმივათ ტყის მცველი.

აგვისტოს შუა რიცხვებში ს. გონებისკარში გაიმართა სალამო ადგილობრივ სამკითხველოს სასარგებლოთ. ასეთი საღამოები, ვახშამი ძლიერ გაზვიადებულია გურიაში ამ ჟამად. მოისპო ქორწილში ქეიფი, სამაგიეროთ შემოღებულ იქნა საქველმოქმედო მიზნით ვახშმების გამართვა. ეს არ არის წინსვლა, ეს ისევ ძველი წესის მობრუნებაა—მხოლოდ ახალ სამოსელში. საჭიროა ამ ვახშმებსაც ბოლო მოეღოს და საქველმოქმედო მიზნით, ვისაც სურს ფულის შეკრება, უფრო კულტურული საშუალებას გამონახოს მის შესაკრებათ. ეხლა კი ასე ხდება: გამოაცხადებენ წარმოდგენა 8 ან 9 საათიდან დაიწყებაო, და ნაცვლად იმისა, რომ წარმოდგენა დაიწყონ, პირველად ვახშამს გამართავენ, რაიც ხშირათ 12 საათამდის გასტანს ხოლმე და შემდეგ კი წარმოდგენას დგამენ. ასე იყო მაგალითად გონების კარში. როცა წარმოდგენა მიდიოდა, ამ დროს მოვახშმეთა სიმღერები და რევოლუციების ხმა გრგვინავდა მახლობლათ, რამაც ბევრი იძულებული გახადა დაეტოვებინა წარმოდგენა. საჭიროა ასეთ წესს ბოლო მოეღოს. ვეცადოთ შევეჩვიოთ კულტურულ ცხოვრებას. ხარჯებს გარდა შემოსავალი 700 მანეთი. სამკითხველოს გადაეცა.

წითელმთიელი.

სამტრედია. ჩვენი სოფლები ომიანობამდიც ვერ იყვნენ კარგ მდგომარეობაში საექიმო მხრით ექიმების ნაკლებობა ყოველთვის იყო ჩვენს დაბა-სოფლებში, მაგრამ, დაიწყო თუ არა ომი, ვინც იყო თითო ოროლა ექიმი ან ფერშალი, ისინიც ომში გაიწვიეს, ზოგმა თავისი ნებით მიატოვა სოფელი და ქალაქებში გადასახლდა და ასე, სოფლები უპატრონოთ მიტოვებული. ავათმყოფობა კი, რაც დრო გადის საშიშ სახეს იღებს, მაგალითად, მთელ სამტრედიის რაიონში ორი ექიმია, ერთი რკინის გზის და სამი ფერშალი, რაც სრულიად ვერ აკმაყოფილებს ხალხს, დილიდან მოსულ ავათმყოფს, იქნება შუადღისას ეღირსოს ექიმის ნახვა, ამას გარდა წამლების ნაკლებობაა. აფთიაქებში თითქმის ნახევარი წამალი არ მოიპოვება, რაც უკიდურესად ხდის ავათმყოფის მდგომარეობას რეცეპტით ხელში მიდიხარ აფთიაქში და წამალს ვერ შოულობ. ომმა თითქმის გაანახევრა ჩვენი სოფლები ცოცხალი ძალებისაგან. ვინც ომს გადაურჩა, იმას ავათმყოფობა იმსხვერპლებს!.. საჭიროა შველა.

ხან—კან.

სოფ. უხუთი. (გურია) 20 აგვისტოს აქ მოხდა სასოფლო ყრილობა; ყრილობაზე მოხსენება გააკეთა ადგილობრივი კოოპერატივ. „ჩვენი საჭიროების" სარევიზიო კომისიამ, საიდანაც გამოირკვა,რომ ილ. გედევანიძის გამ. თავმჯდომარეობის დროს კასას დაკლებია 607 მან. გედევანიძემ იმართლა თავი იმით, რომ საზოგადო საქმეში ვიყავი გართული და ამიტომ ანგარიშები ყოფილი გამგესაგან ნაუცბათევად მივიღეო, ალბათ კასას კლებით წინეთ თორემ მე არა ფერი გამიფლანგავსო.

გედევანიძე და მისი ამხანაგები გადაყენებული არიან.

ადგილობრივი სამკითხველოს მდგომარეობა უნუგეშოა.

საჭიროა დაჩქარებით იქნას მოწვეული საზოგადო კრება; შემუშავდეს წესდება, არჩეულ იქნას გამგეობა და სარევიზიო კომისია.

გულ-კეთილი.

ს. სუხჩი. (სენაკის მაზრა). 14 აგვისტოს შედგა მცხოვრებთა კრება. კითხვა დაისვა სუხჩში არსებული ერთ კლასიან სასწავლებლის შენობის შეკეთების შესახებ. ვინაიდან სკოლის შენობა ერთ-ერთულ შეკეთებას საჭიროებს, იქნეს შეკეთებული ადგილობრივ მოგროვილ ფულით. ამ საქმის მოსაგვარებლად აირჩიეს 5 კაცი. ის ფული, რომელიც თფილისელმა ამხანაგებმა შეაგროვეს (141 მ. 50 კ.) დარჩეს შემგროვებელთა ხელში, ვინაიდან მომავალ წელში უნდა დაარსდეს ორ კლასიანი სკოლა ამიტომ გთხოვთ ამხანაგებს, განაგრძონ ფულის შეგროვება, ამ მიზნით. აქ დაარსდა კარლო ჩხეიძის სახელობაზე სამკითხველო.

კრების მონდობილობით პ. პოლოკავა.
სუხჩის აღმ. კომ. წევრი დ. მგელაძე.

P. S. თფილისში შესდგა მუშათა ჯგუფი სოფელ სუხჩის მცხოვრებლებისა, რომელიც ისახავს მიზნათ დახმარება გაუწიოს თავის სოფელს და კულტურულად აღამაღლოს ის სკოლით, სამკითხველოთი და კოოპერატივის გახსნით და სხვა. 14 აგვისტოს სუხჩში მიტინგზე თფილისელმა მუშამ გიორგი დვაბერიძემ ილაპარაკა დღევანდელ მომენტზე, შეეხო სხვადასხვა პარტიების მოქმედებას და მოუწოდა დამსწრე საზოგადოებას მეტი საქმიანობისაკენ.

შემოწირულება, როგორც ფულით, ისე წიგნებით, მიიღება: სოფ. სუხჩში რისტომ მგელაძის სახელზე და თფილისში რკინის გზის მთავარ სახელოსნოს„ მუშას გიორგი დვაბერიძის სახელობაზე.

ცხინვალი. შიმშილის საშინელი აჩრდილის წინაშე დგანან ცხინვალის და მის გარშემო სოფლების მცხოვრებნი. ზოგიერთ სოფლებში თუმცა მოიპოვება ზედმეტი ხორბალი, მაგრამ ყველამ მამალა. სასურსათო კომიტეტი, უძლურია იბრძოლოს პურის მტკიცე ფასებში შეძენის საქმეზე. გლეხები ამბობენ: ყველაფერი ნიხრზე მოგვეცით და ჩვენც ხორბალს ნიხრზე მოგიტანთო. თუმცა ვაჭრებს ნიხრი დაუდეს, მაგრამ არშინ ჩითს 2—2 მ. 50 კ. ყიდიან. სასურსათო და აღმასრულებელი კომიტეტები იძულებული გახდენ რამდენიმე ფართლის მაღაზიები დაეკეტათ და გადასწყვიტეს მათ ფართალი სრულიად ჩამოართვან ნიხრზე ქვევით ფასებში. ცხინვალის რაიონში ცხოვრობს 70,000 სული და დიდძალი სურსათია საჭირო, მთელი მთის ოსეთი ამ რაიონიდან იკვებება. ხორბლის აღმოჩენამდე კარგი დრო გავა და თუ [illegible] სასურ. კომიტეტმა ცოტა ფქვილი არ მიაშველა, მოსალოდნელია შიმშილობა. შეძლებულები და განსაკუთრებით ვაჭრები ჩუმად დიდ ფასებში ყიდულობენ ხორბალს და ამის შემდეგ ხორბლის პატრონი, რა თქმა უნდა, დარჩის ნაკლებ ფასში აღარ აძლევს, ამიტომ სოფლის შეძლება ნაწილი ამხედრებულია ხორბლის მქონეთა წინააღმდეგ. ზოგიერთა „ბრწყინვალე" წოდების პირნი მამრიგებელ კამერებსაც არ ემორჩილებიან და მოითხოვენ მეტ დალალს, განსაკუთრებით გამწვავებულია დამოკიდებულება ოსებსა და მემამულეებს შორის. ამ ვაჟ-ბატონებს ხორბლის მაღალ ფასებით მალა გაქვნდნენ და ძველ ბატონობას არ სთმობენ. ცხინვალი ყველით იყო განთქმული. ეხლა აქ ყველი ძნელი საშოვარი შეიქნა. 27 აგვისტოს სოფელ არმაზში დღეობაზე ოსებს ყველი ბლომად მოეტანათ, სცვლიდენ მხოლოდ მარილზე და საშუალება არავისა ჰქონდა ყველი ფულზე ეყიდნა. ვაჭრები თავისებურად სწონიდენ ყველსაც და მარილსაც და ერთ წონა ყველში აძლევდენ ათ-თორმეტ წონა მარილს. (მარილს აფასებენ 3 მ. 60 კ. ფუ.). ამ რიგად მთელი ყველი ვაჭრებმა ჩაიგდეს ხელში. ამ გარემოებამ ხალხში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, რამაც ცხინვალის სასურსათო კომიტეტი აიძულა ყველა ვაჭრებისთვის ჩამოერთმია და გაეგზავნა გორის სასურსათო კომიტეტისთვის.

25 აგვისტოს შესდგა აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა. გადასწყვიტეს აღძრას შუამდგომლობა რათა ცხინვალსა და გორს შუა ფოსტამ იაროს კვირაში სამჯერ (ახლა ორჯერ დადის). მასთან ერთად ფოსტა-ტელეგრაფის გამგეს, რომ დეპეშის მიღება შეიძლებოდეს დილის 8 საათ. საღამოს 9 საათამდე.

თამარაშენის საზოგადოებაში დაარსდა ტყის კომისია, რომელმაც უნდა მოაწესრიგოს ტყის საქმეები. კომისიაში აირჩიეს 15 კაცი, რომელიც შეუდგა მუშაობას.

სოფელ დვანის მცხოვრებლებმა დაადგინეს ამ შემოდგომიდან გახსნან ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი (ხელის მოწერით შეგროვდა 250 მანეთი). ამავე სოფელში გახსნეს სამკითხველო.

ს. დიდ-ლიახველი.

სოფ. ხაშური. ბნელმა ძალებმა თავი წამოყვეს. სამართლიანი მოქმედება არ მოსწონთ; ვისაც პური არა აქვს, დიდ გაჭირვებაშია. ფულიანები წინდაწინვე აბევებენ პურს და ღარიბს შიმშილით სიკვდილი მოელის. სოფელმა სავანგებო კომისია აირჩია, რომელსაც უნდა კოოპერატივისთვის შეეძინა სათესლე და საჭმელი პური ფუთი 8 მანეთი. წისქვილებში პური დაიწყეს კოოპერატივისთვის, მაგრამ ერთმა წისქვილის მეპატრონემ, ივანე ქოქრაშვილმა, ყაჩაღათ მონათლა ხალხის ამორჩეული კომისია. ცილისწამება პროვოკაციის მოხდენას ლანძღავდა ყველა მეთაურებს უშვერის სიტყვებით, იხსენიებდა თავისუფლებას ცუდათ და მუქარით იწვევდა ამორჩეულ კაცებზედ. ამას ჩუმათ მხარს უჭერდენ ზოგიერთი ბნელ-ბნელი პირები. მათ სულ სხვანაირათ ელანდებათ და ბრუნდეთ ესმით კომისიის მოქმედება. კომისიას სურდა ხალხი შიმშილისაგან დაეხსნა, მაგრამ პროვოკატორებმა სხვანაირათ იგრძნეს და ცრუ მიზეზებით აიყოლიეს ჟურცი და გულუბრყვილო პირები. [illegible] რამ ამ ეცეს თვეში არცერთი არაფრი სოფელს არ გადაუხდია რაიმე გადასახადი და ყველა შინაური სოფლის ხარჯები სკოლის შენობის, კომისარის, მწერლის და ორი მოხელის ჯამაგირები [illegible] და ნაღდი [illegible] 3,862 მანეთი [illegible] ამორჩეულმა კაცებმა თავი მიანებეს ბოლოში მოხელით თავიანთ მოვალეობას.

გლეხები ძალიან ცდილობენ ესხნათ-ისესხნათ, გასაყიდ გუთნებს და თესლს ვერ შოულობენ. სადაც კი შეძლებს მოსურვილის, რომელთაც ორთქლის გუთანი უნდა გამოეწერათ —სამას კომლამდე ჩაეწერენ ათი თუმნიდან სამოც თუმნამდე პაიში, მაგრამ ვერ მოახერხეს გუთნის შეძენა. პურის პატრონი ხალხი კი ჯიბრში უდგას უპურო ხალხს და ეჯავრის: თქვენ გუზარებით ხვნა-თესვა და მუქთად გინდათ და იაფათ პურის შეძენაო. ოთხას კომლ მცხოვრებს სულ რვაოდე გუთანი ექნათ წელს, ვინაიდან ხარები და ახალგაზრდობა სამხედრო სამსახურში არიან დაბანდებულნი.

დროებით დამარცხებული.

ექიმი გ. გ. მუხაძე

ქობულეთში გამგზავრების გამო შესწყვიტა ავადმყოფების მიღება ენკენისთვის ბოლომდის.

ექიმი ივანე თიკანაძე

იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: კირპიჩის ქუჩა, 18, ტელეფონი № 11—82.

ქუთაისში
ექიმი ვალერიან ლორთქიფანიძე

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდე, საღამოს 7—9 საათამდე პუშკინის ქუჩა, ციცქიშვილის სახლში.

ქ. ქუთაისში.
ექიმი გ. ი. ჩხენკელი

იღებს ბავშვთა და შინაგანი სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 9 საათიდან —1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქუთაისი, [illegible] ქ., [illegible] სახლი.

მედიცინის დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. შინაგანი ავადმყოფობა, ბლენსა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. [illegible] სხვა შინაგანი ავადმყოფობისთვის. ყოველდღე დილის 9—1საათამდე, საღამოს 6—8-მდე. გრიბოედოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი პ. ი. შვარცბლაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა. ჭავჭავაძის ქუჩა, № 4, [illegible] ტელეფ. 15—00.

ექიმი ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6—8 საათამდე. კანის, ვენერიულ და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტ. „ნოის" პირდაპირ.

ქუთაისში
ექიმ გ. ი. შოპილის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიული ავადმყოფებისთვის, ავადმყოფები მიიღებიან დილის 9—12 საათ. და სა 6—8 დ. საათამდე.

ბათუმი
დ. ი. ჟორდანია

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სპეციალურათ ქრონიკული მალარიისა და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—6 საათამდე გარდა სამშაბათისა. გურის ქუჩა № 6 (ღიღუბე)

ექიმის თანაშემწე
ვლ. ი. თავართქილაძე

ღებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასაჟი და ელექტრიზაცია. ლერმონტოვის ქუჩა, № 4

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიული სნეულებით ყოველ დღე — 5 ნახ. საათამდე, [illegible] ქუჩა № 19.

ბათუმი
დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ვენერიული სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე კვირის გარდა, საღ. 5—7 საათამდე, [illegible] ქ. № 41.

„ზორაპანის" გამოცემა.

დაიბეჭდა და გამოვიდა ყველა სახელმძღვანელო წიგნები
ქართველი მწერლები I წიგნი პირველი, შედგენილი ივ. გომელაურის მიერ ფასი 2 მან.
ქართველი მწერლები წიგნი მეორე ფასი 5 მან.
იყიდება ყველგან სახელმწიფო წიგნის მაღაზიაში
გამოცემული და იყიდება „ჩანგი" მ. გაჩეჩილაძისა ფ. 4—50 კ.

(10—9)

ხელოსნურ-მბეჭდავ სტამბა რუსთაველის გამზირი სახამე № 1.